„... და მაშინ
განიხარონ ყოველთა
ქართველთა“

№23, ოთხშაბათი, 5-11 სექტემბერი, 2001 წელი

ფასი 40



გვ. 3

## საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა:

მიმართავთ მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურებს, მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით აღდგეს საქართველოს DE JURE ხელისუფლება, დადგეს იმ პირთა და ორგანიზაციათა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ძალისმიერი გზით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, უგულვებელჰყვეს საქართველოს მოსახლეობის ნება.

## 11 სექტემბერი – თავისკვეთა წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი

ყოველთა ნაშობთა უმეტესო, მდგომარენი ლოცვათა შინა მორწმუნეთა კრებულნი ლმობიერად და ცრემლით შეგივრდებით, ნათლისმცემელო ქრისტესო, მფარველ გვეყავ მოსავთა შენთა.



## საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი პარადოქსები:

მეოთხე პარადოქსი: დღევანდელ საქართველოში აჭარის ავტონომიის არსებობას, საქართველოსგან ამ კუთხის იურიდიულ მოწყვეტას და თბილისისგან თუ ჩვენი "ბოევიკებისაგან" რუსის ჯარით აჭარის დაცვას აქტიურ პროპაგანდას უწევენ გურიიდან, იმერეთიდან და თბილისიდან ბათუმში სკამის საძიებლად თუ დავალებით ჩასულები: თარგამაძეები, რაზმაძეები, გელბახიანები, გობრონიძეები (90-იან წლებში ამ როლს ასრულებდნენ ჩიგოგიძეები, კობახიძეები და სხვები)...

გვ. 2

ალექსანდრე ჟღენტი:

## დროა პატივი მივაგოთ

სრულად შეაკვდა მტერს სასცენო სამოსში გამოწყობილი ხელოვანთა გუნდი თბილისის გალავანთან. იქვეა დასაფლავებული – ქალაქის კარიბჭესთან და დღესაც გვიცავს იმ იარაღით, რომელიც მათ კაცობას ეკადრებოდა. ამ იარაღს პატიოსნება ეწოდება.

გვ. 2

## გამოვიდეთ საღათას ძილიდან

მირიან ტაბატაძე: როცა ზვიად გამსახურდია იყო ხელისუფლებაში, უამრავი გეგმა მქონდა. ვფიქრობდი, ჩემი დიდი ტკივილის, ჯავახეთის აღორძინებისათვის მებრძოლა... წავიდა ზვიადი და ჩემი გეგმებიც წარსულს ჩაბარდა....

გვ. 3

## საქართველო უცხოელის თვალით

ბარბარა კრისტოფი: „საქართველოს ელიტა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების სიმულირებით დასავლეთს თვალს უხვევს. სინამდვილეში კი მოსახლეობის ჯიბიდან ფულის ამოცლით არის დაკავებული და ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს“.

გვ. 5



ტელეჟურნალისტი დოდო ჩალაძე: დიდი ბრალი თქვენ მიგიძღვით ჩემო კოლეგებო, ჩემო კარგო ჟურნალისტებო, თქვენზე ერთი ლომის კი არა, ათი ლომის წილი მოდის ხალხისა და საქართველოს დღევანდელ გაუბედურებაში. თქვენი აქტიური ხელშეწყობით დამკვიდრებულმა პოლიციურმა რეჟიმმა ქმნა ყოველივე.

აღარ ჩამოვთვლი ყველა უბედურებას. გიორგი სანაიას მოკვლაც ამის შედეგია სწორედ.

თქვენ რომ მართლად გაგეშუქებინათ მოვლენები, ნახევრად მართლისა და სიცრუის მაგივრად მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება გელაღადათ, თავგზა არ აგებნიათ მკითხველ-მსმენელისათვის, ხმა აგემაღლებინათ იმ პირველი ტყვიის გამო, რომელიც ესროლეს ეროვნულ ხელისუფლებას, ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდით.

გვ. 4

## პატრიოტიზმი ძველ და ახალ აღთქმაში

იღუმენი ფილარეტი: ქრისტიანული პატრიოტიზმისათვის უცხოა ის უკიდურესობა და შეცდომები, რომელიც დამახასიათებელია ცრუ „პატრიოტიზმისათვის“. ქრისტიან პატრიოტს უყვარს რა თავისი ხალხი, ამხელს მათ უკეთურებას. ფხიზლად უჭირავს თვალი ეროვნული თვისებების და ხასიათის შენარჩუნებისათვის.

გვ. 6

## მხატვარი ავთანდილ ვართაგავა:

ლადო გუდიაშვილმა, როგორც რედაქტორმა, სცადა გადაერჩინა ჩვენი კატალოგი, რისთვისაც პატარა უსტარით გაგვაგზავნა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში, სადაც მაშინ განყოფილების გამგედ მუშაობდა ნანული ცაგარეიშვილი. ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ საუბარს შედეგი არ მოჰყოლია, კატალოგი მაინც დაჭრეს...

გოგი ოჩიაურმა ჩვენს შემოქმედებას პორნოგრაფიული მხატვრობა უწოდა; ამას ზედ დაერთო ხელოვნებათმცოდნის გულნარა ჯაფარიძის უარყოფითი რეცენზია და ყოველივე ამის შემდეგ კატალოგის გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

გვ. 7

რედაქტორის სამრეკლო

ტარიელ ფუტკარაძე

# საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი პარადოქსები:

1. 1991-93 წლების პუტჩის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივ ხელისუფლებას წარმოადგენს მოქალაქეთა კავშირიც, კომუნისტებიც, ალორძინებაც, ფსევდოტრადიციონალისტებიც, კაპიტალისტი სოციალისტებიც, სარიშვილ-გიორგაძის ფსევდოდემოკრატიული პარტიაც და ძველი თუ ახალი თაობის მრეწველებიც... თითოეული მათგანი პუტჩამდე თუ პუტჩის შემდეგ შევარდნაძის წიაღში იშვა, საავაზაკო მუხლიც იქვე გაიმაგრა; სწორედ, მათ შობა-აღზრდას შეეწირა საქართველოს ტერიტორიები, ხალხის კეთილდღეობა...

ახლა, როცა დაუძლურებული საქართველოს გამოფუტუროებული სახელმწიფო სტრუქტურები სადაცაა წაიქცეს უნდა, ურთიერთწაკიდებული პუტჩისტი თანამებრძოლები საქართველოს დაქცევას ერთმანეთს, ყველა ერთად კი მხოლოდ შევარდნაძეს აბრალებს... 70 წლის მანძილზე ღმერთის მგმობელი, გადარდუბალებული ედუარდ-გიორგი ღვთის ანაბარა დარჩა.

...პარადოქსი: ის ჯგუფები, რომლებიც ათი წელია ამცრობენ საქართველოს და ატყუებენ შინაურს თუ გარეულს, კი არ ინანიებენ დანაშაულს თუ შეცდომებს, ჩვენი გულუბრყვილო ხალხის იმედით კიდევ გეგმავენ ძალაუფლების შენარჩუნე-



ე. შევარდნაძე: ყველა ობიექტური პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქვეყანამ ნორმალურად გამოიზამთროს.

ბას, ახლა უკვე, ერთმანეთის ჩაძირვით.

* * *

2. 1991 წელს 5 წლის ვადით არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მხოლოდ ერთი წელი აცალეს საქართველოს შენება; პუტჩის შემდეგ ხელისუფლებიდან განდევნილი კანონიერი საკანონმდებლო ორგანოს უხელფასო და დევნილი დეპუტატები უდიდესი დაძაბვის ფასად მუშაობას კოლხურ კოშკში აგრძელებენ და ქვეყანას უნარჩუნებენ დიდად ფასეულ სამართალმემკვიდრეობას; მხოლოდ ამ სამართალმემკვიდრეობითაა შესაძლებელი საქართველოს აღმშენებლობა...

სხვადასხვა მოდიფიკაციით პუტჩისტებს უკვე ათი წელია აქვთ ძალაუფლება და, შესაბამისად, 10 წელია აჩანაგებენ საქართველოს...

პარადოქსი კი ისაა, რომ ზოგი, თითქოსდა არაწითელი ინტელიგენტი ხელისუფლებამიტაცებულ პუტჩისტებს პოლიტიკოსებად თვლის, სამართალმემკვიდრეობის შემნარჩუნებელ პატრიოტ დეპუტატებს კი თანამდებობისათვის ბრძოლას აბრალებს!

ამგვარ უჯიშო ბრალმდებელთ შევახსენებთ:

მესკამური (თანამდებობისთვის "მოღვაწე") დეპუტატებიც იყვნენ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ კანონიერ საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ ისინი უკვე დიდი ხანია შევარდნაძის პარლამენტში თუ ველში გადაბარგდნენ.

* * *

3. აფხაზეთის დამკარგავი შევარდნაძე-თარგამაძის სამხედრო შენაერთები თურმე იმ ჩეჩენი "ბოევიკებით" აპირებენ აფხაზეთის დაბრუნებას, რომელთა დახმარებითაც რუსეთმა საქართველო დაამარცხა იმავე აფხაზეთში!

* * *

4. 1991 წლის 9 აპრილის "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" მიხედვით საქართველოში კანონიერად არსებობს მხოლოდ არაქართველი და ავტოქტონი მოსახლეობის - აფხაზების - ავტონომია. მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოში ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ნაწილს ავტონომია არა აქვს, მით უმეტეს, სხვებისგან თავსმოხვეული ავტონომია. საქართველოში ქართველთა ავტონომიის არსებობა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაა! ჩვენი ქვეყნის ძირძველ ქართველობას - აჭარლებს - ეს ყოველთვის კარგად ესმოდათ და ახლაც ესმით; სანიმუშოდ ავიღოთ ბოლო ფაქტი: 1991 წლის 31 მარტს აჭარის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს", სადაც ნათლად წერია რომ საქართველოში მხოლოდ აფხაზეთის ავტონომია იქნება!

...საქართველოს დამოუკიდებლობა როცა ცხადდება (ასე იყო გასული საუკუნის ოციან წლებშიც), რუსეთი და თურქეთი აჭარის ზღვისპირა ზოლზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით გააქტიურებენ ხოლმე ბათუმის პორტო-ფრანკოს, აჭარის ავტონომიისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხს... როგორც წესი, მსგავს თემებს, ოფიციალურად, ადგილობრივი მკვიდრნი წამოწევენ... საქართველოს ერთიანობის იდეა და ამ კუთხისთვის ტრადიციული რელიგიის - ქრისტიანობის - აღორძინების სურვილი უძვირფასესია ამჟამინდელ აჭარაში: დღეს ამ მიზნებს ემსახურება ყველა განათლებული და ავტორიტეტიანი აჭარელი; საბედნიეროდ, საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნეებმა დღევანდელ აჭარაში ერთი-ორი ვაიმწერლისა თუ ინტელიგენტის გარდა ვეღარ იპოვეს ე.წ. მუსულმანური ავტონომიისა და პორტო-ფრანკოს გავლენიანი მომხრენი, ამიტომ საჭირო გახდა "ავტორიტეტთა" ტრანსპორტირება; კერძოდ:

პარადოქსი: დღევანდელ საქართველოში აჭარის ავტონომიას, საქართველოსგან ამ კუთხის იურიდიულ მოწყვეტას და რუსის ჯარით თბილისისგან და ჩეჩენი "ბოევიკებისაგან" აჭარის დაცვას აქტიურ პროპაგანდას უწევენ გურიიდან, იმერეთიდან და თბილისიდან ბათუმში სკამის საძიებლად თუ დავალებით ჩასულები: თარგამაძეე-



ბი, რაზმაძეები, გელბახიანები, გობრონიძეები (90-იან წლებში ამ როლს ასრულებდნენ ჩიგოგიძეები, კობახიძეები და სხვები)... მაგალითად, სულ ახლახან, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი გურული თარგამაძე და იმერელი გელბახიანი ისეთი ლოგიკით ლაპარაკობდნენ აჭარის ავტონომიის კანონიერებაზე, აჭარის "მეტ" დამოუკიდებლობაზე და თბილისისგან რუსის ჯარით აჭარის დაცვაზე, აფხაზ სეპარატისტებსაც კი შეშურდებოდათ! (ალბათ, თბილისში რომ დაბრუნდებიან, ისინიც, მათი წინამორბედების მსგავსად გააგრძელებენ აჭარის ლანძღვას).

* * *

5. საქართველოში კომუნისტთა მმართველობა დღემდე გრძელდება და, რაც მთავარია, ისეთი წარმატებით, რომ დათო ევგენიძის მსგავსი ნიჭიერნი მუტრიბნი მათი წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის ბაღდათის რაიონშიც



კი "უფასო" კონცერტებს მართავენ... აბა, რა თანხა უნდა გადაეხადა მთავრობისა და ქვეყნის გალატაკებისთვის ხელისუფლებიდან დათხოვნილ ყოფილ სახელმწიფო მინისტრს? წესიერი კაცი ხომ ასეთ პირობებში ფულს ვერ იშოვიდა? (კორუმპირებულ ყოფილ სახელმწიფო მოხელეს როგორ აირჩევს ბაღდათი?)...

წესიერების თემას არ წამოვწევდი, რომ არა მომღერალი რომა რცხილაძის თავგამეტება: ერთი თვის წინ ამ ცნობილ მომღერალს პოლიცია ხელს ადებდა ერგნეთიდან დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შემოტანისთვის; ახლა მან ბაღდათში ლორთქიფანიძის მხარდამჭერი ინტერვიუ მისცა და თქვა: "სადაც სიმართლე და წესიერებაა, მე იქა ვარო"...

ანდა, თუკი მართლა არჩევნებია, რაში გამოადგებათ ბაღდათლებს მრავალგზის დაწუნებული ყოფილი ფუნქციონერი?

* * *

6. ღატაკ ქვეყანას პუტჩის შემდეგ გამილიარდელ-გამილიონრებული მინისტრები რომ ჰყავს, ის კი არაა პარადოქსი (ეს უფრო უზნეობაა!), არც ის, ისინი რომ ხელმძღვანელობენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ის, რომ ამ დროს ხალხი ინდიფერენტულია!

ამ ანაქრონიზმის შემყურე ჩვენს ხალხს (დიდ ნაწილს) სახელმწიფო მთავრობისა ჰგონია და ახალ, უკეთეს მთავრობას ელის! კომუნისტობის პერიოდს ვერგამოშორებული საქართველოს მოქალაქენი როცა გააცნობიერებენ, რომ სახელმწიფოც, სახელმწიფო ბიუჯეტიც, სესხებიც და ვალებიც ხალხისაა და არა მთავრობის, მაშინ დაიწყება კორუფციასთან ბრძოლაც და საქართველოს რეალური დამოუკიდებლობაც.

* * *

7. და ბოლოს, მთავარი პარადოქსი: ჩვენი თაობის თვალწინ საქართველოსთვის თავი გაწირა ზვიად გამსახურდიამ, გმირობას კი შევარდნაძე იბრალებს!

სოლომონ ლიონიძის კლუბი

# დროა. პატივი მივაგოთ!

ამ წერილის გამოქვეყნება 1995 წლის სექტემბერში მინდოდა. ვერ მოხერხდა. ვერც მოხერხდებოდა.

არც ახლაა ამის დრო, სამწუხაროდ, მაგრამ რახან დაუვიწყარი თარილის შემდეგ უკვე ორ ასწლეულზე მეტი ხანი გავიდა, სათქმელი მაინც ვთქვათ.

გავიხსენოთ: 205 წლის წინ, სექტემბერში მოხდა კრწანისის ომი.

სამი იმპერიის მსხვერპლი - ქართლ-კახეთი და მისი სატახტო ქალაქი თბილისი აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის ლაშქრის პირისპირ აღმოჩნდა მარტოდმარტო, 75 წლის ერეკლე II დამარცხდა, „თუმცაღა იყო იგი ფრიად მოხუცებულ, გარნა ომშიგან საქციელი მისი იყო მრავალთა ჭაბუკთა სანატრელ".

სამხრეთელი ლომისგან დაფლეთილ ქვეყანას ჩრდილოელი დათვი დაეპატრონა.

„დაიქცა სახლი სადავითო".

კრწანისის დამარცხება დიდგორის, შამქორისა თუ ბასიანის ძლევებზე ნაკლები საამაყო არ გახლავთ. ეს ყველა პატიოსანმა თუ



უნამუსო ქართველმა იცის. ჩვენ კი, ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ: „კვლავად მოიქცა ტფილისს კაცი ვინმე მაჩაბლად წოდებული, და ეპყრა ხელთ ბარბითი ანუ დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა ლხინსა შიგან რომ უკრავენ და ახლდნენ მას კაცნი მუტრიბნი და მსახიობნი".

სრულად შეაკვდა მტერს სასცენო სამოსში გამოწყობილი ხელოვანთა ეს გუნდი თბილისის გალავანთან. იქვეა დასაფლავებული - ქალაქის კარიბჭესთან და დღესაც გვიცავს იმ იარაღით, რომელიც მათ კაცობას ეკადრებოდა. ამ იარაღს პატიოსნება ეწოდება.

ხომ არ გებადება, მკითხველო, სურვილი, მაჩაბელისა და მის თანამოძმეთა თანამედროვე, „ნაღდ თბილისელთა" ენით რომ ვთქვათ - მაჩაბელისტთა საქციელი შეადარო ზოგიერთი დღევანდელი „მუტრიბისა და მსახიობის" გარჯას, პუტჩის შედეგად თავისი დედაქალაქისა და სრულიად საქართველოს დაქცევის დროს?

„ჩვენს მამა-პაპათ უნამუსობა არ უქნიათ, ხოლო ჩვენ იმათი შვილები ვართ!" კრწანისის ბრძოლის გმირის, არტილერიის მაიორის გურამიშვილის ამ სიტყვებით ვიხელმძღვანელოთ და აუცილებლად მივანიჭოთ თბილისის რომელიმე თეატრს მაჩაბლის სახელი. ნებისმიერი სხვა ერი, შემოქმედთა გმირობით ასეთი უპრეცედენტო მაგალითი რომ გააჩნდეს, დიდი ხანია გააკეთებდა ამას.

*სრულად შეაკვდა მტერს სასცენო სამოსში გამოწყობილი ხელოვანთა გუნდი თბილისის გალავანთან. იქვეა დასაფლავებული - ქალაქის კარიბჭესთან და დღესაც გვიცავს იმ იარაღით, რომელიც მათ კაცობას ეკადრებოდა. ამ იარაღს პატიოსნება ეწოდება.*

კარგი იქნება, რომ სოცთბილისობის დროს ეს წერილი მაჩაბლის ამქრის დღევანდელმა წარმომადგენელმა საჯაროდ წაიკითხოს. ეჭვი არ მეპარება, საზოგადოების რეაქცია ისეთივე იქნება, როგორიც მომავალში, გმირი ქალაქელის სახელობის თეატრის გახსნის დროს. თეატრისა, რომლის რეპერტუარი აუცილებლად იქნება „ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გასახარებლად".

**ალექსანდრე ჭელიძე**

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი*

ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

# საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიმართვა

## მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, მსოფლიოს უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი



1991-93 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში ადგილობრივი კრიმინალების, ცრუ პოლიტიკური პარტიების შეიარაღებული დაჯგუფებების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და როსტოვის სპეცდანიშნულების რაზმების, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უშუალო მონაწილეობით დამხობილ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული ხელისუფლება: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები (პრეფექტურები და საკრებულოები).

ათი წელია ხელისუფლებაში უკანონო, ძალისმიერი გზით მოსული ტერორისტული ბანდები გეგმაზომიერად ანადგურებენ სახელმწიფოს, რომელსაც ამჟამად სახელმწიფოებრიობის არც ერთი ნიშანი არ გააჩნია. ხუნტა ედ. შევარდნაძის მეთაურობით ქვეყნისა და ერის წინაშე წლების მანძილზე ახორციელებს დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელსაც სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკურმა ძალებმა.

1. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ უცხო ძალთა (რუსეთის) გამოყენება კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით;

2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გაუქმება;

3. 1992 წლის 2 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის გაუქმება და სალიკვიდაციო კომისიის შექმნა;

4. 1991 წლის 31 მარტის საერო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების იგნორირება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ნორმების უხეში დარღვევით ნეოიმპერიაში, ე.წ. დსთ-ში, საქართველოს რესპუბლიკის გაწევრიანება;

5. ომისა და ტერორის პირობებში მთელს საქართველოში დამატებითი სადამსჯელო სამსახურის საიდუმლოდ შექმნა სამხედრო-საველე სასამართლოების სახით (1992-1997 წლები);

6. საქართველოს ტერიტორიაზე ხუნტის ლეგიტიმაციის მიზნით ცრუ მმართველი ორგანოების შექმნა;

7. საქართველოს რესპუბლიკის ძირძველი ტერიტორიების გასხვისება, რუსეთის ფაქტობრივ დაქვემდებარებაში გადასვლა (აფხაზეთის ასსრ, სამაჩაბლო - ე.წ. სამხრეთ ოსეთი); დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს ცენტრალურ ნაწილში, სოფელ ხამისკურში რუსეთის ძალების განლაგება;

8. რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის სანაცვლოდ, მათი განუსაზღვრელი ვადით დატოვება საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 11 ნოემბრის №793 ბრძანებულება);

9. ყოფილი სსრკ-ს ქონებიდან საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილ წილზე უარის თქმა ხუნტის მიერ, ე.წ. ნულოვან ვარიანტზე თანხმობის მიცემა რუსეთის სასარგებლოდ;

10. საქართველოს რესპუბლიკის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისება;

11. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო ნორმების უგულვებელყოფა, საქართველოს მოსახლეობის მიზანმიმართული გენოციდი;

12. მოქალაქეთა კავშირის ნებადართული კრიმინალურ-დანაშაულებრივი ქმედება, მიმართული ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ, რომლის თავმჯდომარეა ედ. შევარდნაძე;

13. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური დევნა, ხუნტის მიერ მისი ფიზიკური განადგურება;

14. 1991-93 წლების სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შედეგად საქართველოში ორხელისუფლებიანობის დაფიქსირება.

კანონიერად არჩეული, DE JURE ხელისუფლების პარალელურად დამნაშავე, კრიმინალური, DE FACTO ხელისუფლების არსებობა.

მიუხედავად DE FACTO ხელისუფლების არალეგიტიმური წარმოშობისა, მსოფლიო პოლიტიკურმა სისტემამ საჭიროდ სცნო ხელი შეუწყო საქართველოს ჩართვას, როგორც ამ სისტემაში შემავალი „სამართლებრივი" სახელმწიფოსი. მათი მხრიდან საქართველოში მომხდარ ანტიდემოკრატიულ, არასამართლებრივ, უკანონო ქმედებათა პოლიტიკურ შეფასებას ადგილი არ ჰქონია. დღეს საქართველოს მოსახლეობა განუკითხაობისა და უსამართლობის მსხვერპლია. საქართველოს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე სახელმწიფოს, ხუნტის მტაცებლური პოლიტიკის შედეგად, ბრიტანეთის მთავრობამ ღატაკი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა (ბრიტანეთის მთავრობა - განმცხადებელი კლარა შორტი. იხ. გაზეთები: 23-29 ივლისი, 2001წ. №25. „ქრონიკა"; 24-25 ივლისი, 2001წ. №91. „ალია"; 24 ივლისი, 2001წ. №54 „ახალი ერა"; 26-27 ივლისი, 2001წ. №92. „ალია"; 17-18 ივლისი, 2001წ. №88. „ალია"). საქართველოში სახელმწიფო ქონებას კლანური მაფია განაგებს, რომლის ოფიციალური განმკარგულებელი ხუნტის მეთაური ედ. შევარდნაძეა.

მივმართავთ მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურებს, მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით აღდგეს საქართველოს DE JURE ხელისუფლება, დადგეს იმ პირთა და ორგანიზაციათა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ძალისმიერი გზით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, უგულვებელჰყვეს საქართველოს მოსახლეობის ნება.

საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარებასა და დემოკრატიის დამკვიდრებას.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

**მანანა არჩვაძე-გამსახურდია**

2001. 27.07. თბილისი

ტკივილი

# დროა, საღათას ძილიდან გამოვიდეთ

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, სადაც ჩვენი გაზეთის მკითხველები წერენ დღევანდელი გაუკუღმართებული ცხოვრებისა თუ ყოფის ამსახველ მდგომარეობაზე, ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობასა და განუკითხაობაზე... ისინი გვთხოვენ მათი წერილების გაზეთ "ქუჯიში" დაბეჭდვას, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ამ გაზეთში იწერება სიმართლე, თანაც თვლიან, რომ უზენაესი საბჭო და მრგვალი მაგიდა თუ ილებს ყურად მათ გაჭირვებას და დაეხმარებათ, ცხოვრებისაგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებს.

ამას წინათ, რედაქციაში ერთი მოქალაქე გვესტუმრა, ჯავახი მირიან ტაბატაძე, რომელიც ძალზედ შეწუხებული გახლდათ როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი ოჯახის ბედ-იღბლით. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ მასთან გასაუბრება, ვინაიდან მისი ტკივილი მთელი საზოგადოების საწუხარია.



*- ბ-ნო მირიან, თქვენს წერილში ის პრობლემებია წამოჭრილი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს. ჩვენ შეგვიძლია ეს წერილი გაზეთში დაგიბეჭდოთ, მაგრამ ამით თქვენს პრობლემებს ვერ ვუშველით. უბრალოდ, მას მკითხველი გაეცნობა და მხოლოდ თანაგრძნობას გამოხატავს თქვენს მიმართ.*

- მართალია, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს არანაირი უფლებები არ გააჩნიათ, არც მატერიალური შესაძლებლობები აქვთ, რომ ხალხს დაეხმარონ, მაგრამ, რატომღაც, გულმა მაინც აქეთ გამომიწია. ერთი-ორჯერ ოთხშაბათობის საინფორმაციო მიტინგს დავესწარი და რამდენიმე ძარღვიანი სიტყვა ჩემს გულს რომ საამოდ მოხვდა, ამან გამათამამა. ჩვენ ამ "ფაქტობრივებმა" ისეთ დღეში ჩაგვყარეს, გასაცოდავებულებს ეტყობა გულჩვილობა დაგვჩემდა თუ მართალი სიტყვა მოგვენატრა, გავთამამდი და ამიტომ მოვედი თქვენთან, თუმცა, თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე ვხვდები, რომ მარტო წერა დღეს მართლაც საკმარისი არ არის. ეს მხოლოდ, რომ იტყვიან, გულს "მოგფხანს" და მერე ყველაფერი ისევ ისე გრძელდება. მე შეიძლება მართლაც არ უნდა დამეყარა ფარ-ხმალი, მაგრამ, რა ვქნა, კაცი ვარ, მეც ნერვები მაქვს და ვერ ავერიდე უსიამოვნებებს. ვფიქრობ, მართლაც არ ვიქნები მართალი, ჩემი მძიმე მდგომარეობა მკითხველს თავს რომ მოვახვიო, რისთვისაც ბოდიშს გიხდით... ჩვენს ქვეყანას რომ უჭირს, ამაზე ხომ არსად, არავისთან არ შეიძლება გაჩუმება?

*- ბ-ნო მირიან, თქვენ ახსენეთ, რომ ერთი-ორჯერ დავესწარი კოლხურ კოშკში გამართულ საინფორმაციო მიტინგს და ძარღვიანი სიტყვა გულზე საამურად მომხვდაო. მერე, ამის შემდეგ აღარ მობრძანებულხართ?*

- ვერ მოვედი... დრო ისე გარბის, ხან რა საქმეა, ხან რა... მიუხედავად უმუშევრობისა (ადრე მძღოლად ვმუშაობდი), რაღაცით მაინც ვარ დაკავებული, ოჯახში ლუკმა-პური რომ მივიტანო. რა ვქნა, მეც ხომ დიდი პასუხისმგებლობა მაქვს ჩემი ოჯახის წევრების მიმართ. ბედად ამ გაჭირვებამ იმ დროს მომისწრო, როცა შვილები წამოზრდილები მყავნან და ისინიც ცოტ-ცოტა რაღაცას ახერხებენ თავიანთ თავს რომ დაეხმარონ, თორემ პატარები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ რა მეშველებოდა არ ვიცი. ისე კი მართლაც ვტყუი, ხალხის სიმრავლე და ერთად გვერდში დგომაა საჭირო... მტერს სწორედ ამისი ეშინია.

*- თქვენ აღნიშნავთ, რომ ქვეყნის ბედნიერი მომავლისათვის გაჩუმება არ შეიძლებაო. უკაცრავად, მაგრამ თქვენ, როგორც პატრიოტი ქართველი, საამისოდ რას აკეთებთ?*

- ამ ხელისუფლების ხელში რა უნდა გავაკეთოთ. როცა ზვიად გამსახურდია იყო ხელისუფლებაში, უამრავი გეგმა მქონდა. პირველ რიგში ვფიქრობდი ჩემს მხარეზე, ჩემი დიდი ტკივილის, ჯავახეთის აღორძინება-ბისათვის მებრძოლა, ჩემი წვლილი შემეტანა იმ დიდ საქმეში, რაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა მიზნად დასახული. მახსოვს, მაშინ დოკუმენტური ფილმი აჩვენეს მესხეთ-ჯავახეთზე, იქაურ პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ჯავახეთზე, იქ მიტოვებულ სოფლებზე, უფრო სწორად, ნასოფლარებზე. თვალწინ მიდგას ჯავახეთის ულამაზესი ველ-მინდვრები, სადაც მახსოვს, ჩემს ბავშვობაში უამრავი მოსავალი მოდიოდა. ჯავახეთი ხომ ოდითგანვე პურის ბეღლად ითვლებოდა. მოგვიანებით კი იქ მეკარტოფილეობასაც მიჰყვეს ხელი. დღეს იქ, ქართველების ალბათ, 10-15 პროცენტი თუ ცხოვრობს, დანარჩენი სომხური მოსახლეობა გახლავთ. მიტოვებული სოფლები კი შველას ითხოვს, მაგრამ ვინ არის ბედის გამრიგე, ვის ახსოვს დღეს



↳ გვ. 4

**დღევანდელობა**

# ვისი ჯერი დადგება ხვალ?

კიდევ ერთი სადედისწყრო ტყვია გავარდა. კიდევ დაობლდა ბავშვი, დაქვრივდა ახალგაზრდა ქალი და დამგლოვიარდა ოჯახი. ერთი შეილმკვდარი დედაც შეემატა შავოსანი დედების არმიას. საით მივყავართ ყოველივე ამას? დიდი ხანია რეკს განგაშის ზარი, გვეძახის ქუდზე კაცისკენ, ერთად დგომისკენ, ნუთუ ვერაფერმა მოგვაქცია? ყოველ დღეს ახალ-ახალი უბედურება ხდება.

მეხის გავარდნასავით გაისმა გიორგი სანაიას მკვლელობა. სრულიად ახალგაზრდა, ჯერ მხოლოდ 26 წლისა შეიწირა ვერაგულმა ტყვიამ.

პირადი ნაცნობობა მე მასთან არ მქონია, მაგრამ ბევრს ვიცნობ, ვინც გიორგისთან ახლოს იყო და არავისგან მასზე ცუდი არ მსმენია. პირადი ნაცნობობა არც არის საჭირო, იგი ხომ თითოეული ჩვენგანის ოჯახში ყოველდღიური სტუმარი იყო და მის გაწონასწორებულ გამოსვლებშიც ქვეტექსტითა თუ ქვეშეცნეულად კარგად იგრძნობოდა პატრიოტული სული. თავისი კუთხიდან გაუკულმართებულ პოლიტიკის შედეგად გამოძევებულს უყვარდა სამშობლო, რისთვისაც დასაჯეს. ასე ჰკლავდნენ და ჰკლავენ დღესაც ჭეშმარიტებას, გვაიძულებენ ქედმოხრას, ცდილობენ სულამოცლილ ჩურჩელებად გვაქციონ, სატანის მსახურ რობოტებად სურთ გვიხილონ, ჩაკლან ყოველივე წმინდა და ამაღლებული ჩვენში, წარსულს მოგვწყვიტონ - ისტორია დაგვავიწყონ, მომავალი წაგვართვან და მხოლოდ აბსურდულ აწმყოში გვამყოფონ. ასე სურთ გაურკვევლობასა და სიდუხჭირეში ნელ-ნელა ამოგვხადონ სული.

ერთად დგომა, მხოლოდ ერთად დგომა თუ გადაგვარჩენს მათგან ბოლომდე განწირულებს.

გიორგი სანაიას მკვლელობამ შეძრა სრულიად საქართველო - ეს იმედის მომცემია. დაკრძალვის დღეს ზღვა ხალხის ხილვამ იმედიანი ფიქრი გამიჩინა. ხალხი ბრძენია, მას ვერ მოატყუებ და იქ დგება, სადაც სიმართლეა. ამ დღემ მერაბ კოსტავას გასვენების და ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა მიტინგების დღეები გამახსენა. ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვებით, მოხუცები თუ ახალგაზრდები არ უშინდებოდნენ თაკარა მზეს და ბოლომდე მიჰყვებოდნენ პროცესიას, თუმცაღა, მარჯვედ ტრიალებდა უჩინარი, მსახვრალი ხელი, რომელიც სათავისო მიმართულებას აძლევდა ყოველივეს. ე.წ. ხელისუფლებამ ხალხის რისხვის შიშით რუსთაველზე არ გაატარა პროცესია და გზა სანაპიროსკენ მისცა. აქაც ტექნიკურად ცდილობდნენ ხალხის დაშლას. სწორედ, ამ მიზნით პროცესიაში




შემოუშვეს უამრავი სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა, მიცვალებულიც კი გაიტაცეს, მაგრამ ხალხმა შეუპოვრად გამოხატა თავის ნება და ბოლომდე სცა პატივი სანაიას ცხედარს, მის ხსოვნას, ამით პროტესტის ერთგვარი ფორმაც გამოიხატა. დღევანდელ ე.წ. ხელისუფლებას ხომ თავზარს სცემს ჩვენი ხალხის ერთად დგომა და რა გვემართება? - აკი, შევძლებია; მაგრამ დიდი ბრალი თქვენ მიგიძღვით ჩემო კოლეგებო, ჩემო კარგო ჟურნალისტებო, თქვენზე ერთი ლომის კი არა, ათი ლომის წილი მოდის ხალხისა და საქართველოს დღევანდელ გაუბედურებაში. თქვენი აქტიური ხელშეწყობით დამკვიდრებულმა პოლიციურმა რეჟიმმა ქმნა ყოველივე.

აღარ ჩამოვთვლი ყველა უბედურებას. გიორგი სანაიას მოკვლაც ამის შედეგია სწორედ.

თქვენ რომ მართლად გაგეშუქებინათ მოვლენები, ნახევრად მართლისა და სიცრუის მაგივრად მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება გელაღადათ, თავგზა არ აგებნიათ მკითხველ-მსმენელისათვის, ხმა აგემაღლებინათ იმ პირველი ტყვიის გამო, რომელიც ესროლეს ეროვნულ ხელისუფლებას, ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდით. ჩვენი, უბედურება იმ პირველი ტყვიით დაიწყო და ასე აიკინძა ყველა დანარჩენი კრიალოსანივით. რა საჭიროა ყველაფრის ჩამოთვლა, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, როდის სად რა მოხდა. თქვენ ხომ ცხოვრების შუაგულში ტრიალებთ, თორემ მე და ჩემისთანები გაგვინაპირეთ, გვერდზე მიგვაგდეთ. ჩვენთვის ბოლო ათი წლის ცხოვრებამ განზე ჩაიარა. თქვენ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობთ. ჩვენ გერის დონეზეც არავის ვახსოვართ, უფლებააყრილებად გამოგვაცხადეთ.

გაიხსენეთ ეკრანიდან გადმონთხეული თქვენი ცინიზმი და ღვარძლი.

აფხაზეთში ასობით დიდი და პატარა იღუპებოდა, თქვენ კი ღიმილნარევი აცხადებდით და ხალხს შოუ-კონცერტებისაკენ მოუწოდებდით. ვერა და ვერ „ისწავლეთ" 500-ზე ზევით თვლა.

ასიათასიან, სამშობლოს გაპარტახებით გულდამწვარ მამულიშვილთა მიტინგ-მანიფესტაციების რაოდენობა 500-ს არ ააცილეთ და აბუჩად იგდებდით. თვალში ნაცარს აყრიდით ყველას, ყოველ ნაბიჯზე მრუდე სიტყვას ამბობდით და დიდზე დიდი წვლილი შეიტანეთ ქვეყნის დაქცევაში.

> *ხალხისა და საქართველოს დღევანდელ გაუბედურებაში დიდი ბრალი თქვენ მიგიძღვით ჩემო კოლეგებო, ჩემო კარგო ჟურნალისტებო...*
>
> *ვაი, რა სამწუხაროდ, მაგრამ... აქლემმა თქვენს კარზეც დაიჩოქა?! ახლა თქვენც ტირით. ანუ მაინც თუა თქვენი ცრემლი გულწრფელი? იქნებ ახლა მაინც მოეგოთ გონს და თქვენი მეგობრის ხსოვნას სცეთ პატივი...*
>
> *დავდგეთ იქ, სადაც სიმართლეა: ამით ცოცხლებსაც ვუშველით და მარადიულ სასუფეველში გარდასულთა სულებსაც.*

თავად თქვენი ყოფილი თანამშრომელი ვარ, „ხალხის მტრად" შერაცხული და თქვენგან გამოგდებული, ამიტომ, როგორც ტელეთანამშრომელმა სხვაზე უკეთ ვიცი ეკრანის თვისება. ეკრანს ხალხის მოქცევის ანდამატური ძალა აქვს, რაც კარგად იცით, თქვენც და თქვენმა დამკვეთმაც. თქვენ კი, დამკვეთს ბრწყინვალე სამსახურს უწევდით, რის ფასად აკეთებდით ყოველივე ამას, საკითხავი აი, ესაა. ვაი, რა სამწუხაროდ, მაგრამ... აქლემმა თქვენს კარზეც რომ დაიჩოქა?! ახლა თქვენც ტირით. ანუ მაინც თუა თქვენი ცრემლი გულწრფელი? იქნებ ახლა მაინც მოეგოთ გონს და თქვენი მეგობრის ხსოვნას სცეთ პატივი.

კარგად ვიცი სულის ტკივილის ფასი, ვიცი მწარეზე მწარეა. იქნებ ამ სიმწარემ მაინც შეგვყაროს ერთად. აღარ ვინდომოთ მომავალი ტრაგედიები. დავდგეთ იქ, სადაც სიმართლეა: ამით ცოცხლებსაც ვუშველით და მარადიულ სასუფეველში გარდასულთა სულებსაც.

ვის სთხოვთ ობიექტურ ძიებას, ვინც ჩაიდინა ყოველივე? მკვლელის „პოვნა" რას მოიტანს? ის ხომ ან ყალბი იქნება, ან არარსებული.

არ გახსოვთ ნაზი შამანაური და მისთანანი? ათასობით მსხვერპლი სიმართლისათვის ბრძოლაში... ჩვენ ერთად ბრძოლა მკვლელს კი არა, დამკვეთს უნდა გამოვუცხადოთ.

ვინაა დამკვეთი? ის ვინც 9 აპრილი მოაწყო, ვინც ესროლა ეროვნულ ხელისუფლებას და დაამხო ძალადობით, ვინც მოკლა მერაბი, ზვიადი, ვინც ნაწილ-ნაწილ გაყიდა საქართველო, მოახდინა უამრავი ტერაქტი, თანაც დღემდე „გაუხსნელი"... და აი, დღეს ყველასათვის საყვარელი, ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე - გიორგი სანაია.

ვისი ჯერი დადგება ხვალ?

მოდით, მივაფურთხოთ ეშმაკს, სიყვარულით შევიკრათ ერთ მუშტად და ნუ გავუთენებთ მათ მორიგ „ხვალეს". ერთად დგომით და იმ სიმართლით, რომელიც ერთადერთია, გადავუკეტოთ უბედურებას სათავე, თორემ არც ღმერთი მოგვიტევებს, არც მომავალი - სამშობლოს გაყიდვაში წილნაყარებს.

დავდგეთ იქ, საითაც გვიხმობს გამსახურდიების კოშკის ზარები, თუ არა და ასე თითო-თითოდ ამოგვხოცენ და საქართველოს აღსასრულიც დადგება, რაც დაუშვებელია. ეს არ უნდა მოხდეს, არც მოხდება, მაგრამ სირცხვილს და პასუხისმგებლობას სად გავექცევით?

**დოდო ჩალაძე**

**ტკივილი**

გვ. 3

დამუშავება უნდა. თუ მთავრობა არ შეგიწყობს ხელს, უფულო კაცი საკუთარ ოჯახში ხდები უსუსური... რა ვქნა, სწორედ ესაა რომ მაღელვებს და გულს მიკლავს.

*- მახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს, მაშინ ჯავახეთში, კერძოდ, ნინოწმინდაში რუსი ეროვნების მოქალაქეებმა (მათ დუხო-ბორებად მოიხ-სენიებდნენ), რუსეთში დაბრუნება მოინდომეს და რიჟკოვის ხელის შეწყობით მართლაც მიაღწიეს ამას. რა მოხდა ამის შემდეგ?*

- ეს მართლაც ასე იყო. დაახლოებით ხუთი სოფელი საქართველოს საპატრიარქომ და მერაბ კოსტავას დემოგრაფიულმა ფონდმა შეისყიდა და იქ ნელ-ნელა აჭარლებს ასახლებდნენ. ამ ამბავს სიხარულით ვადევნებდი თვალს და ამიტომ ცოტა ჩახედულიც გახლავართ. მახსოვს მაჩაბლის ქუჩის, მწერალთა კავშირის შენობაში ზვიად გამსა-ხურდიას მხარ-დამჭერები მართავდნენ მიტინგს (წერეთელი მთავრობის სახლის წინ, ჭანტურია კი თეატრალურ ინსტიტუტთან). წერეთლის მიტინგს როცა დავესწარი, იქ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ლანძღავდნენ, ჭანტურიას მიტინგზეც იგივე ხდებოდა. მაჩაბელზე კი სუფთა პოლიტიკურ ვითარებებზე საუბრობდა ბატონი ზვიადი. სწორედ, მაშინ გავაკეთე ჩემი არჩევანი. სწორედ აქ ვღებულობდით ინფორმაციებს დუხობორების ნინოწმინდის რაიონიდან

# დროა, სალათას ძილიდან გამოვიდეთ

ნასვლაზე, რადგან იქ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობები შეიქმნა ადგილობრივი სომხური ექსტრემისტების მხრიდან. ისინი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ დუხობორებს, რომლებიც პირდაპირ ახდენდნენ ქართულ მხარესთან მოლაპარაკებას სახლების ქართველებისათვის გადაცემაზე. პატარ-პატარა შეტაკებებიც კი მოხდა დუხობორებსა და სომხებს შორის. სხვათაშორის, ამ ხალხმა მაშინ სწორი პოზიცია დაიჭირა, თუმცა ისინი რა თანხასაც ასახელებდნენ თავიანთი სახლების საფასურად, ჩვენი მხარე უყოყმანოდ უხდიდა.

> როცა ზვიად გამსახურდია იყო ხელისუფლებაში, უამრავი გეგმა მქონდა. ვფიქრობდი, ჩემი დიდი ტკივილის, ჯავახეთის ალორძინებისათვის მებრძოლა...
>
> წავიდა ზვიადი და ჩემი გეგმებიც წარსულს ჩაბარდა....
>
> დღეს იქ, ქართველების ალბათ, 10-15 პროცენტი თუ ცხოვრობს, დანარჩენი სომხური მოსახლეობა გახლავთ...

*- დღეს როგორც ვიცი, იქ სულ რამოდენიმე აჭარიდან ჩასახლებული ოჯახი ცხოვრობს.*

- მათი სრული ჩასახლება ვერ მოხერხდა ისევ სომხების გამოისობით. შემდეგ ამას თბილისში დაწყებული ომიც დაერთო და შემდეგ ვის ეცალა ამათთვის. ბევრი აჭარელი, როგორც ვიცი, მძიმე პირობების გამო ისევ უკან დაბრუნდა. შესყიდული სოფლები კი დღეს გაძარცვული და განადგურებულია, სახლები დანგრეული. ხშირად მიფიქრია ერთ რამეზე. აფხაზეთის ომის შემდეგ, როცა ქართული მოსახლეობა დევნილად იქცა, რატომღაც ვფიქრობდი, რომ ნაწილს ამ დევნილებიდან ჯავახეთში, სწორედ იმ ხუთ სოფელში შესყიდულ სახლებში შეასახლებდნენ. მით უმეტეს სვანურ მოსახლეობას, რომელიც ოდითგანვე მეცხოველეობას მისდევს და ამდენად ადვილად შეეგუებოდა ჯავახეთის ჰავასაც, მაგრამ სამწუხაროდ ამაზე არავინ იფიქრა (იქნებ შეგნებულადაც?)...

*- ზვიად გამსახურდია დიდი იმედი და ნუგეში იყო თითოეული პატრიოტი ქართვე-ლისთვის... დღეს მრგვალი მაგიდა და უზენაესი საბჭო, როგორც მოგეხსენებათ, მუშაობს და ბატონი ზვიადის არჩეული გზის ღირსეული გამგრძელებელია, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პოლიტიკური კურსიც სწორედ იქით მიდის, საქართველო და ჩვენი და თქვენი საყვარელი მესხეთ-ჯავახეთიც ისეთივე ვიხილოთ, როგორც ზვიად გამსახურდიას გაეხარდებოდა...*

- მესმის, რასაც მეუბნებით. მე კარგად არა ვარ ჩახედული მრგვალი მაგიდისა და უზენაესი საბჭოს პოლიტიკური კურსისა და მუშაობის შესახებ... როგორც უკვე გითხარით, ორჯერ მოვისმინე ქ-ნი მანანას გამოსვლა და ჩემზე ძალზედ დიდი შთაბეჭდილება დატოვა, ამდენს არც მოველოდი. ალბათ, დროა, ქართველი ხალხი სალათას ძილიდან გამოვიდეს და ჭეშმარიტების მხარეზე დადგეს, ამისათვის კი თავდაუზოგავი ბრძოლაა საჭირო და



კიდევ ერთი, უფრო ახლოს უნდა იცნობდეს ხალხი კოლხური კოშკის დღევანდელ საქმიანობას, რათა ნათლად დაინახონ ჭეშმარიტება.

ესაუბრა **დარეჯან მაისურაძე**

# 1991-1992 წლების «დემოკრატიული რევოლუციის» შემდგომი პერიოდის საქართველო უცხოელის თვალით

1999 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, კახეთის, ქართლისა და გურიის რეგიონებში თავისი სადისერტაციო თემისათვის საჭირო ინფორმაციების მიღების შემდეგ, ამავე მიზნით ქუთაისში სტუმრად ჩამოვიდა ფრანკფურტის უნივერსიტეტის შედარებითი პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მეცნიერი, ასისტენტი ქ-ნი ბარბარა კრისტოფი. მას სურდა გაცნობოდა მასალებს რეგიონებში პოლიტიკური პარტიების საქმიანობის, ჩატარებული არჩევნების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობისა და უფლებამოსილების, რეგიონებში ჩატარებული პრივატიზაციის შედეგების, რაიონების საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის ფაქტიური შესრულების შესახებ და სხვა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ქ-ნი ბარბარა შეთანხმებული ყოფილა დე ფაქტო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონალურ წარმომადგენლებთან მისთვის საჭირო ინფორმაციების მიწოდების შესახებ. მას თან ახლდა მეუღლე ბერნარდო კრისტოფი, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ბ-ნმა ბერნარდომ მთხოვა მისი მეუღლისათვის გაგვეწია მეგზურობა იმერეთის რეგიონში. ბ-ნი ბერნარდო მეორე დღეს ბრუნდებოდა გერმანიაში. ქ-ნი ბარბარა მარტო რჩებოდა და რომ რაიმე უსიამოვნებას არ გადაჰყროდა, მაგრძნობინა, რომ არ იტყოდა უარს ჩემს სახლში გაეთია ღამე. ასე აღმოჩნდა ქ-ნი ბარბარა კრისტოფი ჩემი სტუმარი მთელი ორი კვირის განმავლობაში.

მეორე დღიდანვე, საჭირო ინფორმაციების მისაღებად დაიწყო შეხვედრები ცალკეულ პარტიებთან. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა დე ფაქტო ხელისუფლება მორიგ სპექტაკლს დგამდა უკანონო, მორიგ, ე.წ. საპარლამენტო არჩევნების კომპანიის დაწყების სახით. **ის შეხვდა აღორძინების ბლოკში შემავალი პარტიების ქუთაისის ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სმკ-ის ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარეს (ამ შეხვედრაზე მე არ დამასწრეს).** შეხვედრების შემდეგ სტუმარმა აღნიშნა, **„მიუხედავად ამ პარტიების სახელების სხვაობისა, ყველა პარტია თვისობრივად ერთნაირია“-ო.** მაგრამ გერმანიაში უკან დაბრუნების შემდეგ იქაურ ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ სტატიაში „კავკასიური ჰალუცინაცია - საქართველოს ელიტა რეფორმების სიმულაციით სრულიად კორუმპირებულ სახელმწიფოს აშენებს“, რომლის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „ალია“-ში №49(1065) 17-18 აპრილი 2001 წელი, აღნიშნული აქვს: **„ქვეყანას ჰყავს ორგანიზებული ოპოზიცია“.** თუ ქალბატონი ბარბარა ორგანიზებულ ოპოზიციაში გულისხმობს დე ფაქტო ხელისუფლებაში (პარლამენტი, მთავრობა) წარმოდგენილ პარტიებს, მინდა მას შევახსენო (საქართველოში ეს ყველამ იცის), რომ ამ პარტიებს შორის დამოკიდებულება ღიმილის მომგვრელია. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების დროს სმკ-ში გაწევრიანებულ პირთა დიდმა ნაწილმა, საპარლამენტო თუ პარლამენტს გარეთ დარჩენილმა პარტიებმა (ედპ, სდპ, სახალხო, კოსტავას საზოგადოება, სახალხო ფრონტი, მონარქისტები...), რუსეთის სპეცსამსახურებთან და სპეცდანიშნულების სამხედრო ძალებთან ხელიხელჩაკიდებულებმა მოახდინეს „დემოკრატიული რევოლუცია“, დაამხვეს „დიქტატურა“. ამის ორგანიზატორებიც და შემსრულებლებიც (ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი) დღესაც ხელისუფლებაში არიან. სწორედ ისინი ახორციელებენ ქვეყნისათვის დამღუპველ, მაგრამ პირადად თავიანთვისაც და უცხო სახელმწიფოებისთვისაც (მათი წაყრუებითა და ხელშეწყობით) სასარგებლო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, დემოგრაფიულ,



კულტურულ, და ა.შ. პოლიტიკას.

გავეცანით ქუთაისის სტატისტიკის დეპარტამენტში დაცულ ეკონომიკურ, საფინანსო, პრივატიზაციის მასალებს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისედაც კარგად იცის (მართალია ზოგადად, მაგრამ მაინც) იმ მანიპულაციებისა თუ აფერების შესახებ, რომელიც ეხებოდა ცალკეული საწარმოების ე.წ. პრივატიზაციას (რასაც მოსახლეობამ „პრიხვატიზაცია“ უწოდა), ამა თუ იმ წარმოების მუშაობას, სადაც გარკვეული სახეობის პროდუქციას უშვებდნენ. აგვიწერეს თუ როგორ და რა მასშტაბებით ხდებოდა „ლევი“ პროდუქციის წარმოება და შემდეგ მისი რეალიზაცია. რამდენიმე საათი დამჭირდა ამეხსნა სტუმრისათვის, რას ნიშნავდა „ლევი“ პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაცია, რომელიც დაბეგვრის გარეშე რჩებოდა და წარმოადგენდა მეწარმის შემოსავლის ფარულ წყაროს. ქ-ნი ბარბარა თანდათან აცნობიერებდა, თუ როგორ და ვისი ხელშეწყობით ახერხებდა მეწარმე ამდაგვარი ქმედებით გამდიდრებას, რატომ ხვდებოდა რომ ზოგიერთი მეწარმე იხდიდა გადასახადს, ზოგი კი, ვისაც თავისი „კრიშა“ ჰყავდა - არა. სტუმარი უკვე ხვდებოდა, რომ ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოადგენდა ქვეყნის ორგანიზებულ ძარცვას, რომ სხვადასხვა ხასიათის გატარებული რეფორმები იყო საკუთარი ხალხის მოტყუება და დასავლეთის სახელმწიფოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა. ქვეყნის ეკონომიკურ მართვასთან და ე.წ. რეფორმებთან დაკავშირებით მან ზემოთ ნახსენებ წერილში აღნიშნა. **„საქართველოს ელიტა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების სიმულირებით დასავლეთს თვალს უხვევს. სინამდვილეში კი მოსახლეობის ჯიბიდან ფულის ამოცლით არის დაკავებული და ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს“** (გაზ. „ალია“, №49(1065) 17-18 აპრილი, 2001წ.).

ქუთაისში ყოფნის მეოთხე თუ მეხუთე დღეს ქ-ნი ბარბარა შეხვდა ბაღდათის რაიონის საკრებულოში წარმოდგენილ პარტიების (სმკ, სახალხო, აღორძინება, ტრადიციონალისტთა) ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ბაღდათის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს ფურცელაძეს და რაიონის გამგებელს ჯ. მშვილდაძეს. შეხვედრებმა სტუმარზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. საუბარში დასახელებული პარტიების წარმომადგენლების თანდასწრებით განაცხადა „აქ ეტყობა ნათესაური და მეგობრული ურთიერთობები განსაზღვრავს ყველაფერს, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები“. რაიონში, ისევე როგორც მთელს რესპუბლიკაში, ვიწრო, პარტიულ-კლანური ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა და ხდება დღესაც ამა თუ იმ საკითხის განხილვა, შეფასება და შემდეგ მისი სისრულეში მოყვანა.

ამიტომაც იყო, რომ საკრებულოს თავმჯდომარე (სმკ-ის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე) ამხელდა გამგებელს ჯ. მშვილდაძეს, როგორც ყველაზე დიდ მექრთამეს და არამზადას მთელს რაიონში. იქუხებდა: სმკ-ის რაიონულ კონფერენციაზე ვამხელთ და დავაყენებთ მისი პასუხისმგებლობის საკითხსო. მაგრამ გამგებელს ვერავინ ვერაფერი დააკლო. იმიტომ, რომ განცხადებით „შევარდნაძის ერთგული რიგითი ჯარისკაცი ყოფილა“ (ქ-ნმა ბარბარამ გამგებლის ამ განცხადებაზე გულიანად იცინა). ამიტომ კორუფციონერთა მოწინავე რიგებში მყოფი და მათ მწყობრ ნაბიჯს თანმიყოლილი გამგებელი არავის ლანძღვას და მუქარას არ აქცევდა ყურადღებას. გამგებლის საქმიანობა ზედა ეშელონებისათვის ნამდვილად არ წარმოადგენდა უცხოს და როგორც თვითონ აღნიშნა საერთო ენის გამონახვას მათთან ყოველთვის მოახერხებდა.

ქ-ნი ბარბარა ინფორმაციებს გაეცნო ბაღდათის რაიონის პრივატიზაციის სამმართველოში, საფინანსო განყოფილებაში. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. პრივატიზაციის შედეგად ჩალის ფასად აღმოჩნდა გაყიდული, თითქმის გასაჩუქრებული, რაიონში განლაგებული საწარმოები (ღვინის ქარხნები, სახერხი საამქროები, წისქვილი...), სატრანსპორტო საშუალებები (მსუბუქი, ნახევრად მსუბუქი, სატვირთო ავტომანქანები). ვინ რა ფასად მოახერხა სახალხო ქონების ფაქტობრივად მიტაცება, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს რაიონის ან რეგიონალურ შესაბამის სამსახურებში.

**ემზარ ჭანტურიძე**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## „ქუჯის“ ფოსტა

# იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი

რადიოგადაცემაში „ფაქტი+“, რომელიც ყოველკვირეულად მიჰყავს დოდო შონავას, მოწვეული იყო ფილოსოფოსი რამაზ საყვარელიძე. ისაუბრეს მინისტრთა კაბინეტის შექმნაზე, არჩევნებზე და სხვ., ანუ თვითალიარებული მთავრობის საქმიანობაზე.

დავრეკე რედაქციაში: - კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი ფარსია. ახლა თქვენ, როგორც პოლიტოლოგმა, გვიპასუხეთ, რა უნდათ, საერთოდ, ჩვენგან, საქართველოსგან. ჩვენი ამოხოცვა, ჩვენი მიწაწყლიდან აყრა და უცხო ტომების ჩამოსახლება?

დაბნეულმა პოლიტოლოგმა არეულ-დარეულად რაღაც ჩაიბუბუნა. სტუმარს მყისვე მაშველ რგოლად მოევლინა საფრთხილოდ შემართული მასმედიელი და ჩვეული მაამებლობით და პირმოთნეობით ზემოთ მყოფთათვის, ხოლო საქმეში ჩაუხედავი, არამკითხე, უბირი ხალხის გასაგონად ცუდმედიდურად ბრძანა:

—ჯერ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა გვინდაო (ანუ თქვენ უნდა იცოდეთ, თორემ ჩვენ, მოვლენათა ცენტრში მყოფნი, ხომ ისედაც გადასარევად ვერკვევით ყველაფერშიო).

როგორც ჩანს, ჩვენდა სავალალოდ, ვერ გაგვიაზრებია, რა გვსურს, რა ვაკეთოთ, საით წავიდეთ. თითქოსდა, ამა ქვეყნის ძლიერნი და მათი მესტვირე მეოთხე ხელისუფლება სულ ჩვენზე ზრუნვით ათენ-ალამებენ, მაგრამ, აბა, უმადურ ბრბოს რას დაანახვებ!

შეუდარებლად მკვირცხლი აზროვნებით გამორჩეული ეს ქალბატონი ხშირად იწვევს მიკროფონთან სხვადასხვა რანგის ფილოსოფოსებს, ანალიტიკოსებს, რელიგიის სიღრმეებში „ჩახედულთ“, ანუ ცისარტყელას სრულ სპექტრს და ბურთი და მოედანი მათია. ვინაა ხელისშემშლელი!

შობის წინა დღეებში დაულალავად გვიქადაგებდნენ ახალმესტილეობას: - საქართველო გინესის წიგნშია შესატანი. არც ერთ ქვეყანაში არ აღნიშნავენ ორ შობას, ორ ახალ წელს, ორ აღდგომას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც მივბაძოთ მათ (ანუ გადავიდეთ გრიგორიანულ კალენდარზეო, და სხვა ამდაგვარი, მართლმადიდებლობისა და ხალხის შეურაცხმყოფელი განცხადებები. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სათანადო ორგანოებში ინსტრუქტაჟგამოვლილია. ანდა, შესაძლებელია, არ გაუცნობიერებიათ მართლმადიდებლობის არსი და დანიშნულება, ხოლო ვისი თვალსაზრისიც ყურადსაღებია, მათ მოვლენათა მომლოდინის პოზიცია უკავიათ.

ნასწავლი, ნაკითხი, წიგნიერი კაცი განათლებულად მაშინ ითვლება, თუ მისი ცოდნა და ნიჭი ღვთისაგან ბოძებული მადლითაა აღჭურვილი. სხვა შემთხვევაში კაცთა ნიჭი დემონების სამსახურშია და, ამდენად, საშიშიც კი ხდება საზოგადოებისათვის. ასეთმა პიროვნებამ მთების გადაადგილებაც რომ შესძლოს, თუ შეჭირვებული ქვეყნის და ხალხის სატკივარი არ გაითავისა, ამაოდ დამშვრალა.

„ჩემი კაცობის გვირგვინო, ჩემო სამშობლო მხარეო“ - ბრძანა დიდმა ვაჟამ. აბა, შეხედეთ, რას გვეუბნება პოეტი! როგორ დაუკავშირა პიროვნულობა, ღირსება, კაცურკაცობა თავის ქვეყანას. თუ მამული ძლიერია - ეს ღირსეულ კაცთაგანაა, მათ ძალუძთ ქვეყნის აყვავება, გამშვენიერება და სრული ჰარმონიის შექმნა.

ზოგს ქვეყნის სიმტკიცის გარანტი ძალა ჰგონია. ქვეყნის სიძლიერე კი ერის სულის სიმტკიცეში, მისი რჩეული ხელისუფლების პატიოსნებაში, ერთგულებასა და სარწმუნოებაშია, ვინაიდან მიწიერი თუ ზეციერს არ შეერწყა, ყველაფერი ამაოა. ასე იყო საუკუნეთა უწინარეს და ასე დარჩება დასასრულამდე.

ზოგნი ამბობენ—დროებით გავწიროთ სარწმუნოება, რათა ქვეყანა ფიზიკურად გადარჩესო. ასე ფიქრობდნენ ადრეც და ხან კათოლიკობას, ხან მონოფიზიტობას იღებდნენ დიდგვაროვანნი, რომის პაპს ეახლებოდნენ და თაყვანს სცემდნენ. ასეთი საქციელით ცდილობდნენ საქართველოს შენარჩუნებას ულვთოთა გარემოცვაში. მაგრამ მთავარი უსხლტებოდათ ხელიდან. ისინი ყოველთვის განარისხებდნენ უფალს და, ვფიქრობ, ამიტომაც იყო დასჯილი ივერია და ასეა დღესაც. ამას დასასრული არ უჩანს, არხეინად არიან - ივერია მაინც გაბრწყინდება, რაც არ უნდა მოხდეს და რაც არ უნდა ვაკეთოთო - სასტიკად ცდებიან: კარგი წინასწარმეტყველება, ღმერთს შეუძლია, შეცვალოს საშინელი სასჯელით.

ბოლო ხანს ქვეყანას დაეუფლა რაღაც საბედისწერო საშიში ძალა. განსაცვიფრებელ უსჯულოებასა და სახიფათო „ზნეობას“ ამკვიდრებენ ყველგან. ერის კულტურული მემკვიდრეობა უკანა პლანზე გადადის; უმწვავესი მანკიერების პიკია, ცოდვის კალო... სად დევს პანდორას ყუთი - ყოველგვარი უბედურების წყარო?

მოვუხმობ წმ. პავლეს - „ნურაფერში შეუშინდებით მოწინააღმდეგეს, ეს მათთვის დაღუპვის ნიშანია, თქვენთვის კი - ხსნისა, ეს ღვთისგან არის“.

ჩვენ, შესაძლოა, თვალდასანახად ვაგებდეთ პატარ-პატარა ბრძოლებს (რაც სულიერად განგვამტკიცებს), მაგრამ დიდ ომს მეობაძლიერი ქართველი ერი უსათუოდ მოიგებს. „რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლის და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფეთა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ.

როგორც სწერია: „რადგან შენს გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ მიჩნეულნი, მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი სიყვარულის მეშვეობით.

მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები“ (მოც. პავლე).

იფრთხილეთ და იფხიზლეთ, რამეთუ შორს აღარაა აპოკალიფსური საყვირის ხმები.

**შ. ნიჟარაძე**

ჩვენი რწმენა

# პატრიოტიზმი ძველ და ახალ აღთქმაში

იღუმენი ფილარეტი

ერთიანი და მყარი ოჯახი სახელმწიფოს და საზოგადოების ძირითადი უჯრედია. თვით ძლიერი და ორგანიზებული ქვეყანაც დაინგრევა და დაიშლება, თუ მასში მოშლილია ოჯახი და ოჯახური პირობები არახელსაყრელია, თუ აღზრდის საკითხი დავიწყებულია. თუ ოჯახი ძლიერია და ბავშვთა აღზრდა ჯანმრთელ საწყისებზე მიმდინარეობს, მაშინ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარეგნული ფორმების [illegible]ლაც ვერ ავნებს ცხოვრებისუნარიანობას, იგი მაინც შეძლებს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და სიძლიერის აღდგენას.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანული ოჯახი მთლიანად თავის თავში არ უნდა ჩაიკეტოს. ასეთი ცხოვრება ოჯახური ცხოვრების ეგოიზმია. მისი წევრის ინტერესი ოჯახს არ სცილდება, გარე სამყაროს ავის და კარგის გაგება არ სურს, არ სურს სამშობლოს ემსახუროს. ასეთი ცხოვრება არაქრისტიანული ცხოვრებაა, ასეთი ოჯახი არაქრისტიანულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანული ოჯახი საზოგადოების უჯრედია, მისი ნაწილია, მასთან განუყოფლად შერწყმული თავისი მიზნებით, ის აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ემსახურება მოყვასს და განუყრელად ეხმარება მას.

მეორეს მხრივ, ესეც მცირედი რამაა. სახარების სწავლების თანახმად, ქრისტიანის ცოცხალი ურთიერთობანი მხოლოდ ოჯახით არ უნდა შემოიფარგლოს, ის უნდა სცდებოდეს ეროვნულ-მოქალაქეობრივს, მამულიშვილურს. ქრისტიანობა თავისი სიყვარულით ზოგადსაკაცობრიოა. ქრისტიანისათვის ნებისმიერი ეროვნების ადამიანი მისი მოყვასია, რომელიც უფლის მცნების თანახმად უნდა უყვარდეს. ამის შესახებ გვეუბნება იგავი მოწყალე სამარიტელისა. მაცხოვარმა ამ იგავით იუდეველ რჯულმდებელს იმაზე მიუთითა, თუ როგორი სიყვარულით და მოწყალებით მოექცა სამარიტელი ნაცემ და გაძარცვულ იუდეველს, ანუ თავის მტერს, შემდეგ კი რჯულისმცოდნეს უთხრა: „ვიდოდე და ჰყოფდე შენცა ეგრევე" (ლკ. 10,37).

თუ ასეთი სრულყოფილი სიყვარულისათვის ვართ ქრისტიანები მოწოდებულნი, ნუთუ მართალი არ არის ის კოსმოპოლიტი, რომელიც გვასწავლის ხალხთა მეგობრობას, რომლის მიხედვითაც ადამიანი „მთელი მსოფლიოს მოქალაქეა" და არა თავის ქვეყნისა. ამ სწავლების მიხედვით კაცობრიობაში არ უნდა არსებობდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განსხვავებანი და დაყოფანი, იგი სრულიად უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან ოჯახს. უეჭველია კოსმოპოლიტიზმის დადებითი მხარე უახლოვდება ქრისტიანობას. ისიც უეჭველია, რომ მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთდახმარების სათნოებები მან ქრისტიანობიდან აიღო და სწორედ, ესაა ქრისტიანული. ეს იდეებია ყველაზე უფრო ღირსეული კოსმოპოლიტიზმში. სამაგიეროდ, მან ამ სიმართლეს შეურია ბევრი უმართებულო და მცდარი აზრი. ამის გამო ეს სწავლება ხელოვნური, ცალმხრივი, არაცხოვრებისეული გამოდგა. ასეთ გზააბნეულობას მიეკუთვნება კოსმოპოლიტიზმის სწავლება მამულის სიყვარულის წინააღმდეგ, სამშობლოს სავალდებულო სამსახურის წინააღმდეგ, მისი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ. ვინ არ იცის, რეალურ ცხოვრებაში კოსმოპოლიტიზმის მქადაგებელნი როგორი გულცივნი და გულქვანი არიან! ისინი მთელი ხმით გაჰკივიან კაცობრიობისადმი სიყვარულს და არ იციან, როგორ შეიყვარონ მოყვასი. შეიყვარო მოყვასი, ნიშნავს, შეიყვარო ყოველი ადამიანი, რომელსაც ხშირად სჭირდება ნუგეშისცემა და დახმარება. ქრისტიანობისათვის უცხოა კოსმოპოლიტიზმის დამახასიათებელი ცალმხრივობა. იესო ქრისტეს „კაცობრიობის" ხელოვნური სიყვარულისთვის არ მოვუწოდებივართ, არამედ მოყვასის სიყვარულისთვის. ქრისტიანისათვის ეს მოყვასი ნებისმიერი ადამიანია. (ამისათვის ქრისტიანმა ყოველი ადამიანი უნდა შეიყვაროს), კერძოდ, ვისაც ხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ქრისტიანული სიყვარული მჟღავნდება პირად შეხვედრაში, ცოცხალ ურთიერთობაში და თანაგრძნობაში, რომლისგანაც ასე შორსაა კოსმოპოლიტიზმის ცალმხრივი სწავლება „კაცობრიობისადმი".

ბავშვებისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანები არიან მშობლები, ძმები, დები და საერთოდ, ნათესავები. ცხადია, მათთვის ჯერ კიდევ მიუღწეველია სიყვარული უცხო ადამიანთა მიმართ, ვინც მათ ოჯახს არ ეკუთვნის, მათთან არავითარი ცოცხალი ურთიერთობა არა აქვს, ამიტომაც ისინი მისთვის „უცხონი" არიან. შემდგომში კი, სიყმაწვილისა და სიყრმის წლებში, ბავშვი თანდათანობით აბამს ცოცხალ ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, ისინი მისთვის „თავისიანები" ხდებიან. აი, აქ კი, მან კეთილშობილური აღზრდის საშუალებით უნდა ისწავლოს ქრისტიანული ქცევა „თავისიანებისადმი" (თუმცა ნამდვილ მოყვასად უწინდებურად მისი ახლობლები რჩებიან) ამ შემთხვევაში, ყმაწვილის სულიერი ზრდა ჯერ კიდევ არაა დასრულებული და მისგან ნებისმიერი სხვა ხალხებისადმი წრფელი სიყვარულის მოთხოვნა არამართებული იქნებოდა. როცა მოზარდი ხდება სრულიად ჩამოყალიბებული, ზრდასრული ქრისტიანი, მისი აზროვნების ჰორიზონტი ფართოდ იშლება და მისთვის „მოყვასი" ხდება ნებისმიერი ეროვნების ადამიანი. მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც თავისიანები უყვარს, პირველად თავისი ოჯახი, თავისი ახლობლები, რომელთა შორის აღიზარდა და ცხოვრობს. შემდეგ კი თავისი სამშობლო და თავისი ხალხი, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამ ხალხთანაა იგი დაკავშირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი მოვალეობით. კულტურა, წეს-ჩვეულებები, მისი ხალხის ეთნიკური ნიშნები, განსაკუთრებით მისი სიწმინდეები მისთვის „ახლობელია", „საკუთარია". ის თავის ხალხთანაა, თავის სამშობლოსთანაა მთელი არსებით. მას ის უყვარს - ზუსტად ესაა ქრისტიანული პატრიოტიზმი, რომლის წინააღმდეგ ასე გაძლიერებულად იბრძვის კოსმოპოლიტიზმი თავისი გზააბნეულობით.

ქრისტიანული პატრიოტიზმისათვის უცხოა ის უკიდურესობა და შეცდომები, რომელიც დამახასიათებელია ცრუ „პატრიოტიზმისათვის". ქრისტიან პატრიოტს უყვარს რა თავისი ხალხი, ამხელს მათ უკეთურებას. ფხიზლად უჭირავს თვალი ეროვნული თვისებების და ხასიათის შენარჩუნებისათვის. ამიტომაც იგი არასდროს დაეთანხმება იმ „პატრიოტებს", რომლებიც ყველაფერს საკუთარს (მემთვრალეობასაც, ბილწსიტყვაობასაც და სხვ.) აღმერთებენ და კანონიერად, ტრადიციულად თვლიან. მათ დავიწყებიათ, რომ ეს პატრიოტიზმი კი არა, ეროვნული ამპარტავნებაა, ანუ ის ცოდვა, რომლის წინააღმდეგ იბრძვის ქრისტიანობა. ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ხალხის ცოდვებზე და მანკიერებაზე არ დახუჭავს თვალს. იგი წუხს ამის გამო და იბრძვის მის გამოსასწორებლად. ინანიებს ღვთის წინაშე როგორც საკუთარ, ისე ხალხის ცოდვებს. ამის გარდა, ქრისტიანული პატრიოტიზმისათვის უცხოა სხვა ხალხისადმი მტრობა. მე მიყვარს ჩემი ხალხი, რატომ არ უნდა მიყვარდეს ჩინელი, თურქი ან ებრაელი. ღმერთმა მოჰმადლოს მათ ბედნიერება, სიხარული, რადგანაც ჩვენ ერთი მამის შვილები ვართ.



ახლა წმიდა წერილი დავიმოწმოთ პატრიოტიზმის შესახებ. ებრაელთა ხალხის ისტორია სავსეა იმის მტკიცებით, თუ როგორ უყვართ მათ სიონი, იერუსალიმი, თავიანთი ტაძარი. ეს იყო ნამდვილი პატრიოტიზმის, საკუთარი ხალხისადმი სიყვარულის და მისი სიწმიდეების თაყვანისცემის ჭეშმარიტი მაგალითი. ამაოდ როდი აიღო ახალი აღთქმის ეკლესიამ თავის ღვთისმსახურებაში სიწმიდეებისადმი დამოკიდებულების მაგალითი.

ძველ აღთქმაში სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარული მოსე წინასწარმეტყველმა გვიჩვენა მაშინ, როცა აღთქმის დადებისთანავე ებრაელმა ხალხმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და „ოქროს კერპს" სცა თაყვანი, უფალი რისხვით აღივსო მათ მიმართ. მოსე ერის ცოდვებს ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ავედრებდა უფალს. ღმერთმა უპასუხა: „და აწ მიტევე და განვრისხნე გულისწყრომითა დიდითა და აღვხოცნე იგინი და გყო შენ ნათესავად დიდად" (გამ. 32,10). უფლის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მართალი კაცის ლოცვის ძალა. წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, მოსე თითქოს აყოვნებს უფალს. ამის შემდეგ წინასწარმეტყველი უფრო მხურვალედ ევედრება უფალს და ბოლოს აღმოხდა: „უკეთუ არა, აღმხოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე" (გამ. 32,32). შეისმინა უფალმა მოსეს ვედრება და არ გაწყვიტა ერი მთლიანად. ნუთუ ეს სამშობლოს, ერის სიყვარული არაა?!

მსგავსი შემთხვევა გვხვდება მოციქულ პავლეს მაგალითზეც. მას ქადაგებისას საკუთარ ხალხზე მეტად არავინ უშლიდა ხელს. მათ სძულდათ პავლე, მამათა რწმენის მოღალატედ სთვლიდნენ. რას ამბობს მოციქული ასეთ თანამემამულეებზე? „რამეთუ ვილოცევდ მე შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათჳს და ნათესავთა ჩემთა ჴორციელად" (რომ. 9,3).

ამ სიტყვებიდან ვრწმუნდებით, თუ როგორ უყვარდა პავლე მოციქულს ისრაელის ხალხი. ეს სიყვარული ისეთი ძლიერი იყო, რომ ის მოსეს მსგავსად მზად იყო საკუთარი მარადიული ცხოვრება (და არა ამქვეყნიური ცხოვრება) შეეწირა ხალხის გადარჩენისათვის. ან თვითონ მაცხოვრის მაგალითი: სახარებაში ვკითხულობთ, რომ იგი მოვიდა უწინარესად თავისი ხალხისთვის. სხვა ადგილას მიმართავს იერუსალიმს და იტყვის: „იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაჲსწარმეტყველი და ქვაჲ დაჰკრიბენ მოვლინებულთა შენთა, რაოდენ გზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ ფრინველმან თჳსნი მართვენი ფრთეთა ქვეშე, და არა ინებეთ!" (ლკ. 13,34). უფლის იერუსალიმში შესვლას „ოსანას" ძახილით ხვდებიან.

მაცხოვარი კი ტიროდა, ტიროდა ხალხის გამო, იმათ გამო, ვინც ახლა ოსანას გაიძახოდა, რამოდენიმე დღის შემდეგ კი იყვირებდნენ „ჯუარს-აცუ-ეგე". ასე უყვარდა მაცხოვარს თავისი ხალხი, ღრმა ჭეშმარიტი სიყვარულით.

ამრიგად, ქრისტიანობა პატრიოტიზმის გრძნობას არ უარყოფს და არ განიკითხავს. არ განიკითხავს ახლობლებისა და ნათესავების მიმართ უპირატეს სიყვარულს. ჩვენ გვახსოვს მოციქულის შეგონება: „ხოლო უკეთუ ვინმე თჳსთა და უფროჲსღა სახლეულთა, არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჳრეს" (I ტიმ. 5,8).

სხვა ადგილას, ეკლესიის მსახურის არჩევაზე საუბრის დროს, ასეთ პირობას აყენებს: „თჳსისა სახლისა კეთილად გამგებელ, შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა" (I ტიმ. 3,4).

ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ასეთი სიყვარული და მზრუნველობა არ უნდა იყოს ეგოისტური, ჩაკეტილი, ქრისტიანმა თავისი ცხოვრების წესის თანახმად არ უნდა დაივიწყოს სხვა ხალხი - მოყვასნი და ქრისტესმიერი ძმები სიყვარულში. და ბოლოს, კვლავ წმ. მოციქულ პავლეს სიტყვებს მოვიყვან: „აწ უკუე, ვიდრე ჟამი გუაქუსღა, ვიქმოდით კეთილსა ყოველთა მიმართ, ხოლო უფროჲსად სახლეულთა მათ მიმართა სარწმუნოებისათა" (გალ. 6,10).

ლეილა ბათხაძე

ხსოვნა



საქართველოს კეთილდღეობისათვის შეწირულთა სია ძალზედ დიდია. მას კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი მიემატა - **გელა გაჩეჩილაძე** - სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ერის ტკივილით გულდასერილი პიროვნება. ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ რვა წლის მანძილზე ციხეში გამომწყვდეულმა მრავალ ტანჯვას გაუძლო. გისოსებს მიღმა ზეცის ხილვა ელირსა და...

წავიდა ჩვენგან და წაიღო იმედიანი ტკივილი. კიდევ ერთი მლოცველი შეემატა ზეცას. ჩვენ კი ქვეყანაზე დარჩენილნი შევევედრებით უფალს განუსვენოს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის სული საუკუნო სასუფეველში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია და გაზეთ „ქუჯის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, გამძლეობასა და მხნეობას უსურვებს სიმართლისათვის ბრძოლაში.



წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი **ბერო წულუკიძე**, ბაჩო, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, ეროვნულ მოძრაობაში თავიდანვე გულანთებული იდგა იმ იდეისა და სიმართლის დასაცავად, რომელმაც საქართველო დამოუკიდებლობამდე მიიყვანა, თუმცა მტერს არ ეძინა... ბრძოლა ისევ გრძელდება, მაგრამ ბაჩო წულუკიძეს ჯანმრთელობამ ამ ბრძოლაში უმტყუნა... ბედისწერამ უმუხთლა...

ბაჩო წულუკიძე წარმოშობით ამბროლაურიდან გახლდათ, სოფელ კვარცხეთიდან. მისი ფიქრი და იმედები მის რაიონსაც სწვდებოდა. გზების გაყვანაზე და მიტოვებული სოფლების აღორძინებაზე ოცნებობდა, ამიტომ იყო, მას ხშირად იქაც ვხედავდით. ოცნებები და იმედები აუსრულებელი დარჩა. მისი საქართველო და მისი რაჭა დღეს უფრო მეტად სადარდებელი და საფიქრალია... დიდი დარდი წაიღო მან იქ, სამუდამო სასუფეველში.

მას ერთი ქალიშვილი დარჩა. მისი ერთადერთი როცა გაიზრდება, ალბათ მამის განვლილ გზაზე იფიქრებს და მის სახელს ნათელს მოჰფენს - პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

ჩვენც პატივი მივაგოთ ბერო (ბაჩო) წულუკიძის ხსოვნას.

მეგობრები

მხატვრობა

# თანამედროვე მინდია

## საუბარი მხატვარ ავთანდილ ვართაგავასთან

დღიდან გაჩენისა ადამიანის მოდგმას თავისებურად ქმოდა მშვენიერება. მშვენიერების, როგორც სულიერი საზრდოს მიწოდებაში დიდია მხატვრის როლი.

მხატვრობის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროს სწვდება მხატვართა შემოქმედება.

ამ რამდენიმე ხნის წინ მკითხველი პრესით გაეცნო ინფორმაციას ჭიათურაში ითხვისის წმინდა იოანე ნათ[illegible]სმცემლის ახალი ეკლესიის მშენებლობის შესახებ.

დაინტერესებულ მკითხველთა ერთმა ნაწილმა უკვე დაათვალიერა ეს გრანდიოზული მშენებლობა და მის კედლებზე გაჩენილი პირველი ფრესკები. დღესაც იხატება ეკლესიის კედლებზე დიდი ალღმაფრენით, შთაგონებითა და სასოებით ფრესკები ძმების ავთანდილ და ტარიელ ვართაგავების მიერ, რომელთა შემოქმედებაზე საუბარს ზემოთაღნიშნულ წერილში, მომავლისთვის შევპირდით მკითხველს...

ვასრულებთ დანაპირებს. ვესაუბრებით ავთანდილ ვართაგავას.

*– ბ-ნო ავთანდილ, საიდან იღებს თქვენი მხატვრობა სათავეს?*

– ჩვენი მხატვრობა ბავშვობიდან იღებს სათავეს. ჩვენი მხატვრობა აკვნებთან და მერცხლის ბუდეებთან საპატიო ყარაულში დგომას ჰგავს... იმთავითვე გვსურდა ჩვენი გრაფიკითა თუ ფერწერით დამთავრებული ზიარებოდა ცის სიღრმეს, ბავშვთა სიზმრებში ჩაძირულ პლანეტებს, თეთრ მუსიკასა და მსოფლიო აკვნებს.

*– თქვენი ხელოვნება ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაა, თუ...?*

– ტრადიციულად ჩვენს ოჯახში არავინ ხატავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დედის მიერ ფანქრის ერთი მოსმით შემოხაზულ ფისოების მრგვალ თავებს, რითაც იგი ჩვენს ბავშვურ შთაბეჭდილებათა გაოცებას იწვევდა მუდამ. დედამ შემდგომში თავისი ნიჭი ბოსტნისა თუ ყვავილთა სამყაროში გადაიტანა, სადაც ფერთა ისეთ ჰარმონიას ქმნიდა, რომ უკეთესს ვერაფერს ინატრებდა ადამიანი. ჩვენ ბევრი ვისწავლეთ ამ ცოცხალი და მიწაზე ფერებად განფენილი „ნახატებიდან".

*– თქვენი, როგორც მხატვრის ჩამოყალიბებაში რა წვლილი შეიტანა ბაბუამ იპოლიტე ვართაგავამ?*

– რაც შეეხება ბაბუას, იპოლიტე ვართაგავას, იგი საერთოდ არ ხატავდა, მაგრამ იმდენად იყო ბუნებაზე შეყვარებული, იმდენად განიცდიდა ცის ფერსა თუ მიწის ხავერდოვნებას, იმდენად უყვარდა ვაზი თუ ლორთქო ბალახი, ისე სათუთად ეფერებოდა მცენარეს, რომ მის პიროვნებაში აშკარად იგრძნობოდა პოეტური ბუნებითა თუ ხატვის იდუმალი ნიჭით შეჭურვილი ადამიანი. სწორედ, მან შეგვაყვარა ჩვენ ბუნების იმ იდუმალ ფერებს, თოვლსა თუ ქარ-წვიმას, ბაყაყების ორკესტრს, საიდანაც ბოლოს და ბოლოს იბადებოდნენ ჩვენი მაშინდელი სასაცილო კაცუნები, მეორე მსოფლიო ომის სცენები – ჯარისკაცები, თვითმფრინავები, გაზეთის ფურცლებზე რომ გადაგვქონდა ცეროდენა ბავშვებს, რადგან იმ დროს სახატავი მასალის შოვნა, საერთოდ შეუძლებელი იყო.

*– როგორ გაიხსენებდით თქვენს პირველ შეხვედრას ხელოვნებასთან?*

– [illegible]ვთის განგებით ჩვენ შემოგვრჩა ბავშვობისდროინდელი ნახატები, რომელთა წყალობით ახლაც შეგვიძლია გავისეირნოთ „ბავშვობის ნაკრძალში". მახსოვს ჯერ კიდევ პატარებმა საჩხერის წიგნების მაღაზიაში აკვარელის ყუთი, ფუნჯი, ფანქრები და სახატავი რვეულები რომ ვიყიდეთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე პირველი ნაბიჯები გადავდგით ხელოვნების დიდსა და რთულ გზაზე, სადაც ჩვეულებრივი ცხოვრება ბედად აღარ გვეწერა, აღარც იმ უმძიმესი ტვირთის მოხსნა, რომელიც ლოკოკინასავით დღესაც ყველგან დაგვაქვს ჩუმად და უხმაუროდ.

*– შემოქმედის რთული გზა სავსეა წინააღმდეგობებით. გქონდათ თუ არა მაშინდელი მთავრობის წარმომადგენლებისაგან მხარდაჭერა ან პირიქით – წინააღმდეგობა?*

– წერილში: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო", რომელიც პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ წინ წაუძღვარა 1970 წელს ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით გამოქვეყნებულ ჩვენი ნახატების პირველ კატალოგს, დასაწყისშივე ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „...ძმები ვართაგავების საუკეთესო ნამუშევრებში ამოტივტივდება ბავშვობაში ნახულისა და წაკითხულის ფრაგმენტები, გაცოცხლდება ლირიკული პეიზაჟები: ტყე, წისქვილი, სამწყესურები, მეწამული დაისების იდილია, ზარების შორეული ექო, კალიების ნალვლიანი კაპელა; ქართველი გლეხი – მევაზე და ფილოსოფოსი; ქართველი მეწისქვილე – მეზღაპრე და ტყუილების გუდა, გადაიხსნება ფოლკლორის წიაღი თავისი ჯადოსნური ელემენტებით, რომელთაც მხატვრულ გააზრებაში სიმბოლოების მნიშვნელობა შეუძენიათ"...

აი, სწორედ ამ უბრალო, თბილი და უპრეტენზიო სიტყვებისათვის, რომლებიც კატალოგზე ადრე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა, საქართველოს მაშინდელმა მდივანმა იდეოლოგიის დარგში – გოგიჩაიშვილმა, სასტიკად გააკრიტიკა წერილის ავტორი, რომელიც თითქოს ხოტბას ასხამდა ჩვენს „ფორმალისტურ" მხატვრობას.

*– თქვენ ხშირად იმეორებთ, რომ ბავშვობიდან მოხვედით. როგორც ჩანს, ბავშვობა თქვენი ხელოვნების განუყრელი ნაწილია. ამიტომ არის, რომ დღემდე მოიტანეთ მხატვრობაში ომისდროინდელი სოფლის სიმარტოვის, ტალახიანი შარა-გზების, წისქვილებისა და სამწყესურის, შიმშილისა და უმძიმესი შრომის სევდა. ხომ არ გაიხსენებდით ბავშვობის რომელიმე ეპიზოდს?*

– დღენიადაგ არსობის ლუკმისათვის უღელში შებმულთ, მხოლოდ სამწყესურებში თუ გვეძლეოდა ხატვისა და ქვებთან შერკინების საშუალება. იმ დროს ხატვაზე უფრო, ქვის წიაღი აფორიაქებდა ჩვენს სულს. სწორედ ამ მიზნით ტყესა თუ მინდვრებში აზმუვლებულ ნახირთან ერთად, ზურგჩანთით თან მიგვქონდა კლდის რამდენიმე ნატეხი, ჩაქუჩი და საჭრეთელი და იქ, სოფლურ პირველყოფილების სამყაროში, ქვის უფორმო ლოდებს წარმართულ სახეებს ვტაცებდით.

*– რადგან თქვენი შემოქმედებისათვის ასეთი მნიშვნელოვანია ბავშვობის ხანა, იქნებ ისიც გვითხრათ, საქართველოს რომელ კუთხეში გაატარეთ ეს წლები?*

– ბავშვობა ჭიათურის რაიონის სოფელ ბუინევში გავატარეთ, სადაც მწერალმა იპოლიტე ვართაგავამ ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრებისა და ანა აბდუშელიშვილზე დაქორწინების შემდეგ, მისსავე მამულში, მზის ამოსვლის გორაზე თეთრი ბერძნული სასახლე აღმართა და იქვე დამკვიდრა სამუდამოდ.

*– ვინ გაზიარათ პირველად ხატვის საიდუმლოს?*

– ბუინევის ოთხწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლა საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლაში გავაგრძელეთ, სადაც ისტორიის მასწავლებლის მიხეილ გოგატაშვილის დამოძღვრებით ხატვის პირველ საიდუმლოს ვეზიარეთ. მიხეილ მასწავლებელი დღენიადაგ ეძიებდა ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს. სიყვარულით უტარებდა მათ ხატვის გაკვეთილებს, როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ხშირად აწყობდა მათ ნამუშევართა სასკოლო გამოფენებს.

*– როდის მოეწყო თქვენი პირველი პერსონალური გამოფენა?*

– 1970 წელს ჩვენ ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში. გამოფენით კმაყოფილმა ლადო გუდიაშვილმა წარმოსთქვა: „...ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ძმები ვართაგავების ტილოებიდან"... (გაზ. „სახალხო განათლება" 1970) საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ათი წლის მანძილზე, ხატვაზე თითქმის აღარ ვფიქრობდით. ასე გრძელდებოდა თბილისის საავიაციო ტექნიკუმშიც და უნივერსიტეტში სწავლის დროსაც. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს. ჩვენში მოულოდნელად დიდი სულიერი აფეთქება მოხდა. ფერთა სიყვარულის მინავლულმა ნაპერწკალმა ისევ გაიღვიძა ჩვენში, ისევ აენთო ჩაუქრობელ ხანძრად. ჩვენ მთელი სულითა და გულით შევებით საკუთარ თავს, რათა ჩვენივე სულის წიაღიდან პალიტრაზე გამოგვეხმო ის ჯერარშობილი სახეები, რომლებიც თან მოგვყვებოდნენ თურმე დედის წიაღიდან, თუ გაურკვევლობის სამყაროდან. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს იყო 1965 წელს, უნივერსიტეტში ჩვენი პერსონალური გამოფენა მოეწყო მხატვარ სიმონ ჯაფარიძესთან ერთად.

*– როგორ მიიღო საზოგადოებამ თქვენი პირველი გამოფენა?*

– შთაბეჭდილებათა წიგნი ჩვენი ნახატებისადმი მიძღვნილი ჩანაწერით აივსო. ჩვენთვის სრულიად უცნობი ადამიანები ზედმეტად განადიდებდნენ ჩვენს ხელოვნებას. პარიზიდან ახლადდაბრუნებული ქალბატონი ვალია ხაზალია, მხატვართა ქომაგი და მოჭირნახულე, ჩვენ, მისთვის უცნობ მხატვრებს ყოველმხრივ აღგვაფრთოვანებდა და სულიერ ძალას გვმატებდა მისთვის ჩვეული დიდი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით. ეს სითბო დაგვახვედრა მან თავის ოჯახში მისულთაც, სადაც გადაწყდა სატელევიზიო გადაცემის მომზადება ამ გამოფენის შესახებ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მსგავსი სიყვარულით სავსე შთაბეჭდილებანი არ დაგვკლებია უნივერსიტეტის, ახალ-ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლის, თბილისის, ბაქოს, ერევნის თუ მოსკოვის პერსონალური თუ საერთო გამოფენების დროს. და მართლაც, ჩვენი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „ჯადოქრები", „საუკეთესო გრძნობათა მატარებლები დედამიწაზე", „თანამედროვე მინდიები" და სხვა დღემდე შემორჩნენ ჩვენს ოჯახში დაცულ შთაბეჭდილებათა წიგნებს.

*– ხშირად წარმატებებს მარცხი და წარუმატებლობა მოსდევს ხოლმე, ხომ არ გაიხსენებდით ამის შესახებ?*

– 1971 წელს, მოსკოვის ხელოვნების ცენტრალურ სახლში ჩვენი ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო. ჩვენთვის დღემდე უცნობმა ქართველმა მხატვრებმა, მოსკოვში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლის, ვინმე საყვარელიძის უშუალო ჩარევით, ისეთი საკავშირო განგაში ატეხეს, რომ ჩვენ კინაღამ დაგვიჭირეს.

მეორე დიდი უსიამოვნება 1974 წელს დაგვატყდა თავს, როდესაც ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით ჩვენი ნახატების მეორე სამენოვანი კატალოგი დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაჭრეს ამ კატალოგის მთელი ტირაჟი, მხოლოდ ცალი შემოგვრჩა შემთხვევით. ლადო გუდიაშვილმა, როგორც რედაქტორმა, სცადა გადაერჩინა ჩვენი კატალოგი, რისთვისაც პატარა უსტარით გაგვაგზავნა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში, სადაც მაშინ განყოფილების გამგედ მუშაობდა ნანული ცაგარეიშვილი. ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ საუბარს შედეგი არ მოჰყოლია, კატალოგი მაინც დაჭრეს...

მხატვართა კავშირში მისულთ, მისმა თავმჯდომარემ, არქიტექტორმა ნოდარ ჯანბერიძემ მოლალატეებადაც კი მოგვნათლა და იმთავითვე გრიგოლ რობაქიძის გვერდით დაგვაყენა, რომლის სახელი იმ დროს სამშობლოს გამყიდველის სინონიმადაც კი იყო ქცეული.

გოგი ოჩიაურმა ჩვენს შემოქმედებას პორნოგრაფიული მხატვრობა უწოდა; ამას ზედ დაერთო ხელოვნებათმცოდნის გულნარა ჯაფარიძის უარყოფითი რეცენზია და ყოველივე ამის შემდეგ კატალოგის გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

**დიდი უსიამოვნება 1974 წელს დაგვატყდა თავს, როდესაც ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით ჩვენი ნახატების მეორე სამენოვანი კატალოგი დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაჭრეს ამ კატალოგის მთელი ტირაჟი, მხოლოდ ცალი შემოგვრჩა შემთხვევით. ლადო გუდიაშვილმა, როგორც რედაქტორმა, სცადა გადაერჩინა ჩვენი კატალოგი, რისთვისაც პატარა უსტარით გაგვაგზავნა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში... საუბარს შედეგი არ მოჰყოლია...**

ესაუბრა **ზოია ციკოლია**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

პოეზია

### ვლადიმერ ქლენტი

## ქართული დედაბოძი ხარ

მანანა არჩვაძე-გამსახურდიას

შუაღამის მთვარის შუქი ხარ,
დილაზე მზის მოფერება,
სიყრმის თაიგული ხარ,
ირმისა ყელმოღერება.
გალობის სანინდარი ხარ,
მოსისხლეთ დამზავებელი,
„უიარალო რაინდი",
სიკვდილის დამმარცხებელი.
წარმავალ დროთა მფარველი,
ხარ ერის სულის მრჩენელი,
ქართული დედაბოძი ხარ,
მამულის გადამრჩენელი.

### ოთარ ურუშაძე

## მირაჟი

თენგიზ ბერიძეს

მძორით გამძღარი ბებერი სვავი,
აქლემის ჩონჩხზე დილამდე ყვინთავს,
მერე გახედავს ქარავნის გზას და
დაიკარგება ჰორიზონტს მიღმა.
მზისგან დაბანგულ უდაბნოს ჰაერს
ქარი გაურევს გადამდნარ სილას
და ოკეანედ ქცეულ ქვიშაზე
აშლის დიუნებს ტალღების რიგად.
ორმოცი დღეა მეუდაბნოეს
თაკარა სხივი აშრობს და ფიცავს.
ორმოცი დღეა თვალსაწიერზე
ლივლივებს მხოლოდ ზეცა და ქვიშა.
ორმოცი ღამე მეუდაბნოე
სიზმრად ხედავს შხაპუნა წვიმას.
უდაბნოს, როგორც სიყრმის ჯალათს,
მსხვერპლთან თამაშიართობს და
ხიბლავს.
აუფერადებს თაკარა მზის ქვეშ,
მეუდაბნოეთ ღამეულ სიზმარს
და ჰორიზონტზე უხატავს მირაჟს,
ჰორიზონტიდან – ჰორიზონტამდის,
ოცნების ზღვარი მიჰყვება მირაჟს
და უდაბნოს სულს თავისი მსხვერპლი
სამოთხის კართან ლასლასით მიჰყავს.

### მაია მიქაბერიძე

## დედამიწაზე დადის სატანა

მზე ჩაესვენა, უცებ დაბნელდა,
შავმა ღრუბელმა ცა დაატყვევა,
ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი –
დედამიწაზე დადის სატანა.
შავად შემოსილ ცივ სამყაროში
ომი მძვინვარებს შავ ანგელოსის,
ულმერთოება, გაუტანლობა –
დედამიწაზე დადის სატანა.
ზარაზას ძმანი ყველგან დაძრწიან,
ყველგან შხამია, ყველგან გესლია,
შავ ანგელოსის არის ქვეყანა –
დედამიწაზე დადის სატანა.

# კარიკატურისტის კომენტარები

ედუარდ შევარდნაძე: ჩემი გუნდი ერთიანია!






# „ვარსკვლავთცვენა"

**გელა ჯიღაური**

(დასაწყისი წინა ნომრებში)

საქართველოს „პარლამენტის" შენობის წინ, იქ სადაც 1989 წლის 9 აპრილს რუსმა კაციჭამია სალდაფონებმა ქართველი მომიტინგეები დაჩეხეს და მოწამლეს, ულიმლამო, რუხი ფერის ასფალტდაგებული მოზრდილი ფართობიც შეცვლის იერსახეს და იგიც გრანიტ-მარმარილოს ვარსკვლავების ხალიჩით მოიკაზმება. ციური მნათობებით მოქარგული ხალიჩა საკმაოდ წარმოსადეგი ზომისა იქნება, რადგან ქვეყნის „საკანონმდებლო ორგანოში" დანიშნული „დეპუტატებიდან" ბევრია „ღირსი" სახელმიკუთვნებული ვარსკვლავებით „უკვდავყოფისა".

დაგვეთანხმებით, მშვენიერი ხალიჩის შუაგულში ქვეყნის „პარლამენტის ორგზის წინამძღოლის", გაზეთებისაგან რამდენჯერმე სომეხ-ებრაელად შერაცხულის და ამ „ბრალდების" ევროსაბჭოს დარბაზში ევროპელ ქართველად გამოცხადებით „უკუმგდებ-გამბათილებლის", ანუ „უპირველესი მეგრელის", პროფესიით ბიოლოგის, მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრებით „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულის, დისიდენტყოფილის", ეროვნული მოძრაობის ერთი „ბურჯთაგანის, მოუღლელი მომიტინგის", მწვანეთა მოძრაობის თავკაცის, ჩვენი ფლორა-ფაუნის "უპირველესი დამცველისა და პატრონის", 1991-92 წლების შემზარავი გადატრიალების მონაწილეს, კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის განდევნით შვებამოპოვებულის, შევარდნაძის მიერ გზაზედაყენებულის, მისი პარტიის გენერალურ მდივნად გამწესებულის, მერე „გადეპუტატებულისა და მთლად პარლამენტის თავმჯდომარედ" დანიშნულის, ურგებით მილებულისაგან უსაზღვროდ გათამამებულ-გადიდგულებულ-გაყვინიზებულის, გატყლარჭულ-გაპრანჭული და უსიამო ხმით, ხელების შეუფერებელი მოძრაობებით კოლეგებისა და „მოსახლეობის დამმოძღვრელის", საახალწლოდ, საგანგებოდ ქვეყნის „ნაღებისა" და მათი მომხრეებისათვის გამართულ სამარცხვინო თამაშში „ლამის ოცი ათასის მომგების", ე.წ. ნულოვანი ვარიანტის დაკანონებით საქართველოსა და ქართველთა კიდევ ერთხელ გამყიდველ-აბუჩადამგდებელ-შეურაცხმყოფელ ზ. ჟვანიას მოზრდილი ზომის ვარსკვლავს ჩააგებენ.

ქვეყნის „მეორე პირის" ვარსკვლავის ქიმებს გვირგვინებად შემოეწყობიან მის მოადგილეთა სახელდანათლული გრანიტის მნათობები.

მერვე წელია აფხაზეთი საქართველოდან მოწყვეტილია და უკანონო ხელისუფლებას მისი დაბრუნების არავითარი ძალა, უნარი არ შესწევს და რაც მთავარია, ამისი იოტისოდენა სურვილიც არა აქვს. თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და მხარდაჭერის, გაეროსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუცია-დადგენილებების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეს უძველესი კუთხე ჯერაც რუსული ჩექმით ითელება დევნილი მოსახლეობა სხვადასხვა ქალაქებშია მიმოფანტული. არც „პრეზიდენტი, ხელისუფლება და პარლამენტი თმობენ პოზიციებს, თავგამეტებით იბრძვიან იქაურობის დასაბრუნებლად" და ამ „უშელავათო ომში" საკუთარი წილი უძევს აფხაზეთის მკვიდრს, „პარლამენტის ვიცე-სპიკერ" ვ. ყოლბაიას. სწორედ, ამ „თავგანწირულის" გრანიტის ვარსკვლავი მოერგება, „თავმჯდომარის" მნათობის ერთ-ერთ ქიმს.

მომდევნო ქიმთან საქართველოს „განუყოფელი" კუთხის - აჭარის მკვიდრის, ასევე ვიცე-სპიკერის, ჯერ-ჯერობით მდუმარედ და უმოქმედოდ მყოფი რ. ჯაფარიძის ვარსკვლავს დააგებენ.

მესამე ქიმთან უკვე „სტაჟიანი ვიცე-სპიკერის", საბჭოთა კინოდან „პოლიტიკაში გადაბარგებულის", „არაჩვეულებრივ გამოფენად" წოდებული ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი ფილმის ავტორის, ძმასთან ერთად სომხეთში მიმავალი ზვიად გამსახურდიას კვალში ჩამდგარ მდევარის, პრეზიდენტისაგან "გატაცებული უთვალავი მილიონების წამრთმეველის", ხელმოცარული და უსუსტესი პოლიტიკან ე. შენგელაიას სახელმინიჭებულ ვარსკვლავს ჩააგებენ.

მეოთხე ქიმთან თბილისის „საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის", მედიცინას ზურგშექცეულის, „პარლამენტში" დაწინაურებულის, პროვინციულად თავმომწონე „ვიცე-სპიკერის" გ. წერეთლის სახელდებულ ვარსკვლავს დააგებენ.

მეხუთე დამასრულებელ ქიმთან „ექს-ვიცე-სპიკერის" და ხელმეორედ დიდი ხნის სამარცხვინო ხვეწნა-ჩალიჩით „გავიცესპიკერებულის", ნაღდ თბილისელად თავგადადებული, კლასიკური საბჭოური მოხელის, „მშვიდობის დაცვის ბურჯის", მილიონერი „სოციალისტის", ვნებადაუმცხრალ პოლიტიკოსის, ბორჯომის წყლით გამაგრილებელ-დამშოშმინებლის, რესტორან-კაზინო - ავიაკომპანიის, სიმამრის სახელზე გაფორმებული არმაზის ვილასასახლისა და ვინ მოთვლის კიდევ რომელი მიძინებული ქონების პატრონის, მამადდაგულებული „პრეზიდენტის" ჯერ სანაგვეზე გადამგდებლისა და მერე მისი ენაჭარტალა, უჭკუო მჯღაბნელებისაგან თავგადაკლული დამცველის, „პარლამენტის სპიკერის" მოძულე-გამშავებელისა და მაინც მისი მოადგილის, „მჭერმეტყველი ტრიბუნის" ვ. რჩეულიშვილის, ჭაბუკობაში ქალაქური ზედმეტსახელი ტუიდ მონათლულის ვარსკვლავს დააგებენ.

რაკიღა „საპარლამენტო" ხალიჩის შუაგული მოიხატება, მერე ჯერი მის მთლიან მოქარგვა-მოჩითვაზე მიდგება. აქაც, ცეკას წინამდებარე მოედნის "ვარსკვლავეთის" დარად, გული - ორნამენტის ახლოს უფრო „სახელმოხვეჭილთა" გრანიტ-მარმარილოს ვარსკვლავები ჩაიგებიან, დარჩენილ ადგილებს კი ნაკლებად თავგამოჩენილთა და ახალბედათა სახელშერქმეული ქვის მნათობები ამოავსებენ.

პირველ რიგში ალბათ სუსტი სქესის „კანონმდებლებს" სცემენ პატივს და იქაურობას მათი სახელობითი ვარსკვლავებით შესძენენ ლაზათს.

ყველაზე ადრე მაინც ქვეყნისა და ერის წინაშე "უკვე ვალმოხდილის", ქართველთა სისხლის ნიაღვრებად დამაქცევარის ქალიშვილის, „რეპრესირებულ-რეაბილიტირებულის" და მაინც „არგაგონილი ნიჭის" წყალობით გზაკვალეულის, „უნაკლო" ფილოლოგის, ცოტათი „პოეტის", მთარგმნელის, „პოლიგლოტის", მხოლოდ საკანდიდატო „დისერტაციის დაცვის" მომსწრების, საბჭოთა კინოხელოვნების შესაფერისი წითელი ბობოლებისათვის „ცივი ოფლის დამსხმელ-ამკანკალებელი", უგემოვნო, მდარე შინაარსის ფილმების გადამღების, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში „ჩაბმულის", საფიცარ ხატად გადაქცეული შევარდნაძის „გამლანძღავ-დამპოტნელის", კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი წითელი „კრიმინალური ნაღების" წარმომადგენლის, „მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის" ხელმეორედ გამეფების აქტიური მონაწილის, ყველაფერ ამის გამო შტატიან „დეპუტატად" დანიშნულის. მესხეთელი თურქების ჩამოსახლების ხმალამოღებული მებრძოლის, ევროსაბჭოში საქართველოს „ელჩად" გამწესების გამო ახალი ფილმების ვერგადამღები ლ. ღოღობერიძის ქვადქცეულ ვარსკვლავს დააგებენ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

# პოლიციის ექს-შეფო «ვიზიარებ» თქვენს მწუხარებას!

პოლიციის ექს-შეფო, თქვენი სიძულვილი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერების მიმართ გამოამჟღავნეთ ყველაზე მეტად მაშინ, როდესაც პირველკაცად მოგვევლინეთ ე.წ. სამართალდამცავ სტრუქტურაში. ეს დღე კარგად მახსოვს. მაშინაც 26 მაისი იყო (1997 წლის). უსასტიკესად იქნა დარბეული ჩვენი მშვიდობიანი მანიფესტაცია რუსთაველის გამზირზე, მეცნიერებათა აკადემიის შენობის წინ. ისე დაასახიჩრეთ ხალხი, რომ ერთ-ერთი ქალბატონი ტვინის შერყევით საავადმყოფოშიც მოხვდა.

1997 წლის 26 მაისი თქვენი „აისი" იყო, ხოლო 2001 წლის 26 მაისის, ასევე მშვიდობიანი მიტინგის დარბევა რესპუბლიკის მოედანზე შეიქმნა თქვენი „დაისის" საწინდრად. ეს ხომ ჩვეულებრივი დამთხვევა არ ყოფილა, ეს იყო მიზანმიმართული ადამიანების ფიზიკური განადგურების აქცია თქვენის მხრიდან.

ყოველთვის, როცა გიყურებთ, სახეზე დაგთამაშებდათ ზიზღი და აუტანლობა ყველა ქართველის მიმართ. უფლება რომ მოეცათ, ყველა მშვიდობიან მომიტინგეს ტყვიებით დაცხრილავდით.

მაგრამ დაგავიწყდათ, რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება, დროებითია, თქვენც დროებითი იყავით. ხომ იცით, როგორც უფასებს შევარდნაძე „ღვაწლს" და „ამაგს" თავის ხელქვეითებს. გაიხსენეთ მის მიერ „დაფასებული" პირველი კაცები დღეს სად არიან.



როცა სიტუაციამ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ მოიტანა, თქვენც აღმოჩნდით პერსონა ნონგრატად!

რას ვიზამთ, უფრო დიდი ტრაგედიებიც ხდება ხოლმე, თუმცა თქვენთვის ესეც დიდი ტრაგედიაა. მე კარგად წარმომიდგენია ამჟამად ექს-შეფის სულიერი განცდები, იქნებ დაიმსხვრა კარიერიზმის მწვერვალები?

კარგად მესმის, კარიერისტისთვის, რომელიც არაფერს ერიდება, თავისი განდიდებისთვის და მიზნის მიღწევისთვის, რას ნიშნავს როცა ხელიდან გამოეცლება ყველაფერი.

ამიტომაც, „მტურმანფიურერო", ეს თქვენი სულიერი გარდაცვალებაა! ამის გამო „გულწრფელად" ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, კარიერიზმის ლამპრის ჩაქრობას და უფრო მაღალი თანამდებობის სავარძლის მსხვრევას.

მე ასევე „დიდი გულისწუხილით ვუსამძიმრებ მთელ პოლიციის „შემოქმედებით" კოლექტივს!

თქვენდამი დიდი მწუხარებით -

**ირაკლი შონია**

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლელა ხაჭაპურიძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, კუპრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.